


თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი
ძიებანი №3 (22), 2005

769

2005



საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი
ქიშხანი №3 (22), 2005

The georgian State University of Theatre and Film

**FINDING OF SCIENCE OF THEATRE
AND FILM №3 (22), 2005**



საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი №3 (22), 2005

რედაქტორი

ნათელა არველაძე

კრებული გამოიცემა წელიწადში
ერთხელ.

კრებულისათვის მოწოდებულ მასალას
თან უნდა ახლდეს სათანადოდ
მომზადებული მეცნიერული აპარატურა,
ერთვოდეს მონაცემები ავტორის
სამეცნიერო კვალიფიკაციის თაობაზე და
ორი სპეციალისტის რეცენზია.

კრებულის სტამბური გამოცემა
ეგზავნება თეატრისა და
კინოხელოვნების საერთაშორისო
ინსტიტუტებს.

ტექნიკური რედაქტორი
თამარ ცაგარელი

ნაშრომები მოგვაწოდეთ და
ცნობებისათვის მოგვმართეთ:
0108, თბილისი, რუსთაველის
გამზირი №19, საქართველოს შოთა
რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
ტელ: (995 32) 999 411,
ფაქსი: (995 32) 983 079



წინათქმა

ჩვენს უნივერსიტეტს 2003 წელს საიუბილეო თარიღი შეუსრულდა, ეს გამოცემა მისი 80 წლისთავის აღსანიშნავად შეიქმნა. ახლა უნივერსიტეტი 82 წლისაა და ამ ხნის მანძილზე არაერთი სცენის ოსტატი აღუზარდა ქართულ დრამატულსა თუ მუსიკალურ თეატრს; არაერთი ნიჭით გამორჩეული შემოქმედი შესძინა კინოხელოვნებას, სათეატრო თუ კინოკრიტიკას; მოამზადა კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და ამით მყარი საფუძველი შეუქმნა პროფესიული ეროვნული ხელოვნების განვითარებას; მისი ექსპერიმენტული ჯგუფების ბაზაზე შეიქმნა არაერთი თეატრი, აღმოცენდა თანამოაზრე სათეატრო დასები.

თავდაპირველად უმაღლეს სასწავლებელს ერქვა – სასცენო ხელოვნების ინსტიტუტი. ახლა კი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტია. მან წელთაღრიცხვა დაიწყო მხოლოდ სამსახიობო ფაკულტეტით, ახლა კი – 4 ფაკულტეტი და 15 კათედრაა. თავიდან მხოლოდ ერთი სპეციალობით გაიხსნა, ახლა კი ახალგაზრდები 42 სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებიან. პირველ წელს 13 აბიტურიენტი ჩაირიცხა სამსახიობო ფაკულტეტზე, ახლა კი – მხოლოდ პირველ კურსზე 344 სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტში ამჟამად 1573 სტუდენტი და 22 ასპირანტი ეუფლება პროფესიას.

ჩვენმა უნივერსიტეტმა მეტად რთული და მნიშვნელოვანი გზა განვლო. შეიქმნა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის პირობებში, ავტორიტარული მმართველობის გარიჟრაჟზე, ახლა კი – ცხოვრებას განაგრძობს დამოუკიდებელ საქართველოში,



დემოკრატიის მშენებლობის დროს. წინამდებარე კრებული გზის ამბავს გვამცნობს საარქივო მასალის შემწეობით. თითოეულ დოკუმენტს შევუნარჩუნეთ პირვანდელი სახე, სტილი, ტერმინოლოგია, მხოლოდ მცირე კომენტარებით შევავსეთ ტექსტი.

ჩვენი მიზანია უნივერსიტეტის ისტორია დოკუმენტების ერთ გადმოვცემთ, ეპოქის თავისებურებანი საარქივო მასალით წარმოვაჩინოთ, შევახსენოთ საზოგადოებას ვის მხრებზე წამოიშალა ეროვნული კულტურის უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებელი, ვინ ჩაუყარა საფუძველი მას, რამდენი თავდადებული და ღირსეული მოღვაწე ემსახურა განათლების ამ კერას.

წინამდებარე კრებულზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ჩვენი უნივერსიტეტის ქართული თეატრის კაბინეტის, თეატრის ისტორიისა და თეორიის, კინოფაკულტეტის კათედრის, სხვადასხვა განყოფილებათა საარქივო მასალა; საქართველოს თეატრისა და კინოს მუზეუმის, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის მასალები. მაღლიერებას გამოვხატავთ დასახელებული სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელობისა და შესაბამის განყოფილებათა თანამშრომლების, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა მიმართ. მათი გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგაცაა, რომ ასეთ მოკლე დროში თავი მოვუყარეთ არსებულ დოკუმენტებს.


ასეთი სახის კრებულის გამოცემა პირველად ხდება. არ არის გამორიცხებული, რომ შემდგომში არაერთ საარქივო მასალას წავაწყდეთ, აღმოვაჩინოთ დღემდე უცნობი დოკუმენტები და შეივსოს ეს კრებული. ვიმედოვნებ, ჩვენი უნივერსიტეტის შემდეგი საიუბილეო თარიღი უფრო სრული სახის პუბლიკაციით აღინიშნება.

ნათელა არველაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს
პ ა რ ლ ა მ მ ე ს ტ ი ს
მ რ ო მ ე ს უ ლ ი
გ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

ანტიკურ ეპოქაში, პროფესიული თეატრის შექმნის პირველსავე ეტაპზე დასის შევსება ახალი ძალებით (ქოროდან ჯერ პროტაგონისტის, შემდეგ კი მეორე და მესამე მსახიობის გამოყოფა), თეატრის პრეროგატივა გახლდათ. შესაძლებელია ითქვას, რომ შემდგომ ეპოქებშიც, უმეტესად, თეატრში, პროფესიონალთა შემოქმედებითი პროცესის ხილვითა და მათი უშუალო მითითებებით, ზოგჯერ პირდაპირ სცენაზეც, იწვრთნებოდნენ ახალგაზრდები. თანდათან ამ წვრთნამ სისტემური ხასიათი შეიძინა. ახალმა ეპოქამ, რომელმაც თვისებრივად შეცვალა თეატრის შემოქმედებითი პრინციპები, თავისთავად წამოჭრა მსახიობთა აღზრდის ფორმათა სახეცვლილება, რაც გამოიხატა გარკვეული სახის სასწავლებლების, სცენის ოსტატთა საწვრთნელი სკოლების აღმოცენებით. XX საუკუნის სათეატრო ხელოვნებამ, როგორც მრავალშენაკადურმა და განსხვავებულ მიმდინარეობათა თანაარსებობის ეპოქამ, უკვე მოითხოვა პროფესიონალთა სპეციფიკური აღზრდის სახეობაც, რაც გამოიხატა თეატრებთან არსებული, აგრეთვე, დამოუკიდებელი სტუდიებით, დრამატული წრეებითა და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო ფაკულტეტის დაარსებით. ამგვარი ვითარება ევროპული სათეატრო ცხოვრების დამახასიათებელი თვისება გახდა. შემდგომში, არსებული სტუდიებისა და სასწავლებლების პარალელურად, ან მათ სანაცვლოდ, არაერთი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა გამდიდრდა დამოუკიდებელი სათეატრო უმაღლესი სასწავლებლებით.

იგივე პროცესი შეინიშნება ქართულ სინამდვილეშიც. ბერიკული სანახაობებიდან დაწყებული, პოსტმოდერნული



ეპოქის ჩათვლით. ჩვენშიც სხვადასხვა სახის სათეატრო
სასწავლებლები იქმნებოდა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში
თბილისისა და თელავის სემინარიებთან არსებობდა დრამატული
წრე. XIX საუკუნეში სცენის მოყვარეთა დრამატული წრე,
შესაძლებელია, ერთგვარ საგანმანათლებლო კერადაც მივიჩნიოთ,
ხოლო მუდმივმოქმედი თეატრის დაარსებით, ახალი ფაზა
წარმოიქმნა სათეატრო განათლების თვალსაზრისითაც.

1911 წელს ლადო მესხიშვილისა და ვალერიან გუნიას
თაოსნობით დაარსდა დრამატული კურსები. 1913 წელს
შეიქმნა გიორგი ჯაბადარის სტუდია, 1922 წელს კი აკაკი
ფაღავას სათეატრო სტუდია, რომელმაც საქართველოში
საფუძველი ჩაუყარა თვისებრივად ახალი სახეობის სათეატრო
განათლებას. ამ სტუდიის ბაზაზე შემდგომ შეიქმნა უმაღლესი
სათეატრო სასწავლებელი – თეატრალური ინსტიტუტი.
1927–1931 წლებში რუსთაველისა და მარჯანიშვილის
თეატრებთან დაარსდა დრამატული სტუდიები, ხოლო
კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ სამსახიობო კურსები, მათ
მალევე შეწყვიტეს არსებობა და აღნიშნული ინსტიტუტი
ერთადერთი სათეატრო სასწავლებელი აღმოჩნდა. მან თავისი
არსებობა მეტად მოკრძალებულად დაიწყო, თუმცა სწავლების
დონე მეტად მაღალი გახლდათ. შემთხვევითი არ არის, რომ
ქართველ ბერიკათა აღმზრდელი უმაღლესი სასწავლებელიც,
დიონისესავით, ორჯერ დაიბადა. პირველად – 1923 წელს,
ხოლო მეორედ – 1939 წელს. სპეციალისტები თვლიან, რომ
ჩვენი უნივერსიტეტის დაბადების თარიღად უნდა ჩაითვალოს
მაინც 1923 წელი.

1898–1901 წლებში, როგორც ცნობილია „არტიტული სამოგადოების“ თეატრის შენობა არქიტექტორების ა. შიმკევიჩისა და კ. ტატიშჩევის პროექტის საფუძველზე აიგო. 1921 წლის 25 ნოემბერს არსებულ თეატრს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა. კოტე მარჯანიშვილისა და აკაკი ფაღავას თაოსნობით ამავე შენობაში დაიღო ბინა ჩვენმა ინსტიტუტმაც. დროთა განმავლობაში, სათეატრო სასწავლებლის ფაკულტეტების, კათედრებისა და, შესაბამისად, კონტიგენტის მნიშვნელოვანმა გაზრდამ, მოითხოვა ინსტიტუტის შენობის გაფართოება. ამიტომაც, 80–იან წლებში უმაღლეს სასწავლებელს გვერდით მდებარე კინოთეატრ „სპარტაკის“ შენობა გადასცეს, სადაც დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი განთავსდა. ამას დაემატა ისიც, რომ, ინსტიტუტის მეზობლად არსებული კულტურის სამინისტროს კუთვნილი ფართი სასწავლებელს შემოუერთდა. ინსტიტუტი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაიზარდა. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტად ჩამოყალიბებამდე, ჩვენმა სათეატრო სასწავლებელმა მეტად საინტერესო გზა განვლო.

ასე დაიწყო ჩვენმა უნივერსიტეტმა თავისი წელთაღრიცხვა:

9/IX

924 ს.ს.ს. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს

პასუხად თქვენი მომართვისა №4038 ა/წ 15 ივნისის თარიღით აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებული დრამატული სტუდიისა და დრამატული სკოლის სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ, განათლების სახალხო კომიტეტი მოგახსენებთ შემდეგს: წერს, რომ მოსკოვის „სასცენო ხელოვნების ინსტიტუტი“ არის სახელმწიფო ხარჯზე, ჩვენთანაც ასე უნდა იყოსო. შარშან გამოვუშვით 150 აბიტურიენტი. „შექმნილი იქნას შესაფერისი ინსტიტუტი სასცენო განათლებისა, რომელშიაც ჩვენ აღვზრდით და გავწვრთნით საბჭოთა აღმშენებლობისათვის საჭირო სასცენო ახალგაზრდობას. ასეთი საჭიროება არის არამც თუ დრამის, არამედ ოპერის დარგშიაც. რისთვისაც განათლების კომისარის აზრით უნდა შეიქმნას ახალი დაწესებულება, სასცენო ხელოვნების შესასწავლი უმაღლესი სკოლა სახელწოდებით „სათეატრო ინსტიტუტი“, რომლის შემავალი ნაწილი იქნება: 1) დრამატული სტუდია 2) დრამატული სკოლა, 3) საოპერო სტუდია, 4) საოპერო ფუნდი, კლასი, 5) „პლასტიური და რითმული გიმნასტიკის კლასი“.

შემდეგ განმარტებულია თითოეული სტუდიის დანიშნულება:

„სათეატრო ინსტიტუტი გარდა იმისა, რომ მომავალი წლისთვის მოგვცემს ახალ ახალგაზრდულ დასს, რომელიც პირველად იქნება ჩვენს რესპუბლიკაში სასცენო განათლებით აღჭურვილნი“, შემდეგ დასახელებულია საგნები და პედაგოგები, რომელნიც უკვე არიან მოწვეულნი ამ საგნების სასწავლებლად: კ. მარჯანიშვილი, აკ. ფაღავა, ალ. ახმეტელი, მ. ქორელი, პროფესორები ი. ჯავახიშვილი გ. ჩუბინაშვილი, ა. ნათაძე, დ. ანდრონიკაშვილი, დ. უზნაძე, ჰ. გრონევაკი, ვ. ჟღენტაი (1).

მოგვყავს დადგენილება:

ოქმი № 31

საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა

1923 წლის 10 ოქტომბერი ქ. თბილისი

თავმჯდომარე — ა. გეგეჭკორი

წევრები: ჟორჯიკაშვილი, ვარძელი, ერქომაიშვილი, კანდელაკი, გ. ვაშაძე, კიკალიშვილი (ჯანმრთელობის სახ. კომისარის მოადგილე), სტურუა, დუმბაძე, ი. ცინცაძე (სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარის მოადგილე), ხუტულაშვილი, გრიგორიანი, ელიავა. დაესწრნენ: მამია ორახელაშვილი, მართა ორახელაშვილი, ბრაიდოკი, ბიბინეიშვილი.

მდივანი — ა. სარალიძე

განხილვის საგანი

განათლების სახ. კომისარის მოხსენება ტფილისში სასცენო



ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შესახებ (მომხსენებელი ამხ. კანდელაკი)

განხილვის საგანი	გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
განათლების სახ. კომისარის მოხსენება ტფილისში სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შესახებ (მომხსენებელი ამხ. კანდელაკი)	მოწონებული იქნას განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება ტფილისში სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ეთხოვოს ზაქეოვჩარჰომ ი ჩაირიცხოს აღნიშნული ინსტიტუტი სახელმწიფო მომარაგებაზე. პროექტი გადაეცეს სასწრაფოდ განსახილველად და დასკვნისათვის საგანგებო კომისარიატს შემადგენლობით: ამხ. კანდელაკი, ვაშაძე და სვიმონიშვილი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე – ხელმოწერილია სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი გადაწყვეტილების ბოლო სტრიქონები, სადაც ლაპარაკია საგანგებო კომისარიის შექმნაზე და პროექტის განხილვაზე. იგულისხმება ინსტიტუტის შტატებისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვა და წარდგენა. მეორე დღესვე დაიწყო ბიუჯეტზე მსჯელობის მიმოწერა (2).

ა მ თ ნ ა წ ე რ ი

ოქმი №31–იდან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომისა 1923 წლის ოქტომბრის 10

თავჯდომარე – ა. გეგეჭკორი



განსახილველი საგანი

განათლების სახ. კომისრის მოხსენება ტფილისში სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

დადგენილება

განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება ტფილისში სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შესახებ მოწონებულ იქნეს და ეთხოვოს ა/კ სახ. კომისართა საბჭოს ჩარიცხოს მომარაგებაზე. პროექტი შტატისა და ინსტიტუტის შესანახი საჭირო ხარჯთაღრიცხვა გადაეცეს სასწრაფოდ განსახილველად და დასკვნისათვის ცალკე კომისიას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ.

სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე — *ა. გეგეჭკორი*

სწორია: ხელმოწერილია.

ს წ ო რ ი ა: თეატრალურ ინსტიტუტის
საქმმართველი: (3).

* * *

ასე გაჩნდა პირველი ცნობა პრესაში:

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ, თანახმად განათლების კომისარის შემადგენლობისა, დაადგინა: დაარსებული იქმნას ტფილისში უმაღლესი სკოლა სასცენო ხელოვნებისა: „სათეატრო ინსტიტუტი“, შემდეგი განყოფილებებით: 1. დრამატული სტუდია. 2. საოპერო სტუდია. 3. დრამატული სკოლა. 4. საოპერო გუნდის კლასი და 5. პლასტიკისა და



რითმული გიმნასტიკის კლასი. ახლად დაარსებული სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის დრამატიულ სტუდიასა და სკოლაში ჩაირიცხებიან აკაკი ფაღავას დრამატიულ სტუდიისა და სკოლის მსმენელნი, აგრეთვე – წლის მიღებულნი. ყველა ამათი გამოცდა და ჩაირიცხვა მოხდება შაბათს, ოქტომბრის „20“-ს. სათეატრო ინსტიტუტის ხელმძღვანელად მოწვეულია რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, ხოლო დირექტორად აკაკი ფაღავა. სათეატრო ინსტიტუტში ისწავლება სუნთქვისა და ხმის დაყენება, დიქცია, ხელოვნური მეტყველება, რითმული გიმნასტიკა და პლასტიკა, აკრობატობა, გრიმი, პარიკების კეთება და თმის დავარცხნა, სიმღერა, ფარიკაობა, სასცენო ელემენტები, იმპროვიზაცია და მიმოღრამა, ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა, ქართული სიტყვა /ფონეტიკა, მორფოლოგია/, ფსიქოლოგია, სასცენო განსახიერებათა ისტორია, ლიტერატურისა და დრამის ისტორია, ტანისამოსის ისტორია, ქართული ტანისამოსის და ყოფის ისტორია, ძირითადი კითხვები ქართული ხელოვნებისა, ესტეტიკა.

სათეატრო ინსტიტუტის მასწავლებლებად მოწვეული არიან პროფესორები: ივ. ჯავახიშვილი, ალ. ნათიშვილი, გ. ჩუბინიშვილი, აკ. შანიძე, დიმ. უზნაძე, ი. შარლემანი. რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი, აკ. ფაღავა, ალ. ახმეტელი, მ. ქორელი, პედაგოგი და დრამატურგი ნ. შიუკაშვილი, ვ. ჟღენტი, გ. დიდებულიძე და სხვანი.

მიღება-ჩაწერა სათეატრო ინსტიტუტის საოპერო სტუდიასა და საოპერო გუნდისა და პლასტიკის და რითმული გიმნასტიკის კლასებში ყოველი დღე დილით 9 საათიდან 3 საათამდის და საღამოთი 5-8 საათამდე ინსტიტუტის კანცელარიაში /რუსთაველის პრ. 21/.

გაზეთი „ტრიბუნა“ 1923 წლის 21 ოქტომბერი (4).



ს. ს. ს. რ.

სახალხო განათლების კომისარიატი
სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტი

მ ო წ მ ო ბ ა

მიეცა ესე ————— მას შინა, რომ —————

1900 წლის 30 დეკემბერს დაბადებული —————

1922 წლის ოქტომბრის 1-ს მიღებულ იქნა აკაკი ფალავას
დრამატიულ სტუდიაში, რომელიც 1923/24 სასწავლო წლის
დამდეგიდან განათლების სახალხო კომისარიატის მიერ
აღიარებულ იქნა სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტად.
სწავლობდა 1924 წლის ივნისამდე და დაამთავრა სრული
კურსი ხსენებული ინსტიტუტის დრამატიულ სკოლისა, სადაც
მოისმინა და ჩააბარა:

სოლფეჯიო

აკრობატობა

ფარიკაობა

ესთეტიკა

ხელოვნებათა ისტორია

ფსიქოლოგია

ქართული ენა

ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა

დიქცია

მხატვრული მეტყველება

იმპროვიზაცია და მიმოდრამა

გრიმი

პლასტიკა

სიმღერა

ლიტერატურისა და დრამის ისტორია

ტანისამოსის ისტორია

და არტისტული ნიჭიერება გამოიჩინა

ყოველივე ზემოხსენებულის დასადასტურებლად ეძლევა ესე მოწმობა, თანახმად ინსტიტუტის პროფესორთა და მასწავლებელთა პედაგოგიურ საბჭოს 1924 წლის ივნისის 27-ის დადგენილებისა, სათანადო ხელის მოწერითა და ინსტიტუტის ბეჭდის დასმით.

ქ. თბილისი 1924 წლის ივნისის 30

დირექტორი აკაკი ფალავა

საბჭოს წევრები: პროფესორი აკაკი შანიძე

პროფესორი დიმიტრი უზნაძე

პროფესორი ალექსანდრე ნათიშვილი

დრამატურგი ნიკოლოზი შიუკაშვილი

მსახიობი იაკობ კრუჩინინი

გიორგი დიდებულიძე

პროფესორი გიორგი ჩუბინიშვილი

პროფესორი ი. შარლემანი

პედაგოგი ი. ფალკონი

დირიჟორი ალექსანდრე გველესიანი

პედაგოგი ვალენტინა ჟლენტი

პროფესორი ოლღა შულგინა

ცირკის მსახიობი აკრობატი მანიონი

პედაგოგიურ საბჭოს მდივანი დოცენტი კ. კაპანელი (5).



1924 წელს ინსტიტუტმა პირველი კურსდა-
მთავრებულები გამოუშვა, ჟურნალში „თეატრი და
ცხოვრება“ დაიბეჭდა ასეთი სახის მიმართვა:

„სალამი ახალგაზრდობას. გამარჯვება ახალ თაობას.
ის, რაც უწინ ბევრს განუხორციელებელი ოცნება ეგონა,
დღეს სინამდვილეში განხორციელდა. სახელმწიფო
დრამატული ინსტიტუტის პირველმა თაობამ ამ წელს
სასცენო ხელოვნების კურსი დაამთავრა და სახელმწიფო
დასში შევიდა. „ერთი წავა და სხვა მოვა, ტურფასა
საბაღნაროსა.“ ახალმა თაობამ უნდა შესცვალოს ძველი
სახელოვნო, ბრწყინვალე თაობა, ძველი თაობა თუ
საკუთარი უნარით მოდიოდა, ბუნებითი ნიჭით, „ახალ
თაობას საგანგებო ცოდნაც აქვს მიღებული“ (6).

* * *

ასეთი იყო სწავლების ფორმა, რომელსაც
შემდეგი დოკუმენტი გვამცნობს:

სასწავლო საგნები

I კურსი

1. სუნთქვა და ხმის დაყენება
2. დიქცია და დეკლამაცია (მხატვრული მეტყველება)
3. იმპროვიზაცია და მიმოდრამა
4. ყელის ჰიგიენა

II კურსი

1. სადრამო ხელოვნება(სცენები, ნაწყვეტები, პიესები)
2. გრიმის თეორია და პრაქტიკა
3. ტანისამოსი და ყოფა— ცხოვრების ისტორია



4. დამატებით: ხმის ვარჯიშობა, დიქციისა და დეკლამაციის
გაკვეთილები

საერთო საგნები
I და II კურსისათვის

1. პლასტიკა
2. ცეკვა
3. ფარიკაობა
4. გიმნასტიკა
5. ხელოვნებათა ისტორია
6. სასცენო ხელოვნების ისტორია
7. დრამატული ლიტერატურის ისტორია
8. ფსიქოლოგია სასცენო შემოქმედებასთან დაკავშირებით
9. ხელოვნება ისტორიული მატერიალიზმის თვალსა-
ზრისით

(ბურჟუაზიული სოციალისტური საზოგადოებისა, პროლე-
ტარული ხელოვნება)

10. ინსცენირების ხელოვნება
11. სალიანგო სცენებით ვარჯიშობა
12. სცენის ცოდნა, ცალკე რეჟისურის თეორია და პრაქტიკა

დრო:

ძირითადი საგნებისათვის პარალელურად:

ხმის დაყენება, სუნთქვა, დიქცია
3 ორსაათიანი გაკვეთილი კვირაში თითო ჯგუფისათვის
იმპროვიზაცია და მიმოდრამა – 3სთ. კვირაში
ყელის ჰიგიენა – 1 სთ.

Handwritten signature or initials on the left margin.

საქართველოს
პარლამენტის
ქრონოლოგი
ბიბლიოთეკა


II კურსი

ვარჯიშობანი სასცენო და სხვა – 6 საათი კვირაში
გრიმი – 2 საათი კვირაში
ტანის ისტორია, ყოფაცხოვრება – 1 საათი კვირაში
ხმის დაყენება – 3 საათი კვირაში
ცეკვა და პლასტიკა – 4 საათი კვირაში
ფარიკაობა და გიმნასტიკა – 4 საათი კვირაში
დანარჩენებისათვის – თითო საათი კვირაში
რეჟისორის კლასისათვის – 2 საათი კვირაში
სულ კვირაში 30 საათი, ანუ დღეში 5 საათი

პროექტი სასწავლო საგნებისა:

ხმის დაყენება

1. სასუნთქი ორგანოების მოკლე ანატომიური მიმოხილვა.
2. სუნთქვის პროცესი: სხვადასხვა სახის სუნთქვა, მათი ღირსება და ნაკლი.
3. სუნთქვის ხელოვნება. სწორი სუნთქვით ვარჯიშობა, მეტყველებასთან დაკავშირებული სუნთქვის გიმნასტიკა.
4. ხმა. ხმის როლი სასცენო ხელოვნებაში.
5. ხმის დაყენება მეტყველებასა და სიმღერისათვის, მსგავსება და განსხვავება. ხმის ვარჯიშობის საზღვარი დრამის მსახიობისათვის.
6. ხმის ნაკლულოვანებანი და მათი აღმოფხვრის საშუალებანი.
7. სამეტყველო bel conto-ს დამუშავება.
8. ხმის გამძლეობის, ძალასა და მოქნილობაში ვარჯიშობა. ბგერის forte და piano-ში ვარჯიშობა.
9. ინტერვალები, გამები ქრომატიული ამალლებითა და დადაბლებით კითხვა.
10. ევზამეტრი.



მხატვრული მეტყველება (დიქცია და დეკლამაცია)

1. მეტყველების როლი სასცენო ხელოვნებაში.
2. წარმოთქმა. მეტყველების ნაკლოვანებანი და მისი გამოსწორების საშუალებანი.
3. ლოდიკური და მხატვრული კითხვა სადეკლამაციო ხელოვნების ძირითადი დებულებანი.
4. ხმის პუნქტუაცია. ინტონაციები.
5. მაჟორი და მინორი.
6. რითმი და მეტრი.
7. ტემპი.
8. მეტყველება და გრძნობა. გრძნობა ვითარცა ზედგავლენის ფორმა. კითხვის (მეტყველების) დროს გრძნობის გამოჩენის ძირითადი ფორმები აღელვებული განცდა (პათოსი) და დამცხრალი განცდა (ანტიპათოსი).
9. პაუზები. შემოქმედი (მეტყველი პაუზა) და მკვდარი პაუზა.
10. პოეტური (ლექსის) და პროზაული ნაწყვეტის ანალიზი.
11. კითხვის (მეტყველების) რელიეფობა. კოლორიტი და მელოდია.
12. სხვადასხვა ტემბრით სარგებლობა. 4 ტემბრი: სპილენძის, ოქროს, ვერცხლისა და ხავერდის
13. ეპოსი, საგმირო პოემები, ანტიური ტრაგედიები, კლასიკური ოდა.
14. სახასიათო კითხვა (მეტყველება). იგავ-არაკნი.
15. ლირიკა, პოემები, ბალადები.
16. მთლიანობის კონტრასტისა და თანდათანობით განვითარების კანონები.
17. კომიკური და ტრაგიკული, როგორც ერთი ძირითადი განცდის 2 პოლიუსი.

18. სწრაფთქმა (სხაპასხუპი).
19. დრამა: დიალოგი და მონოლოგი.
20. სიცილი და ტირილი.

იმპროვიზაცია და მიმოდრამა

1. სასცენო ხელოვნების ძირითადი ელემენტები: განცდა, სიტყვა და მოძრაობა.
2. ცნება მიმოდრამა.
3. მიმიკა და სიტყვა. პირველყოფილ ადამიანთა და ყრუმუნჯების შესტების ენა.
4. მიმოდრამა და დიალოგი. მიმოდრამა, როგორც დიალოგის დასაწყისი (დასაბამი). მიმოდრამა თვით დიალოგის დროს და დიალოგის დასასრულს.
5. ხუთი გრძნობა: მხედველობა, სმენა, გემოვნება, შეხება და ყნოსვა.
6. განწყობილება და განცდა. ემოციები.
7. შეგრძნების ობიექტი და ენერჯიის მიცემა. ენერჯიის დაგროვება.
8. გრძნობა, როგორც შეგრძნება.
9. შინაგანი და გარეგანი დიალოგი.
10. სიტყვა, როგორც შინაგანი დიალოგის გახმაურება.
11. მოძრაობა:
 - მოძრაობის რითმი.
 - მოძრაობა, როგორც განცდის შედეგი.
 - მოძრაობა, შეჩერება და მოძრაობის შეცვლა.
 - სიმკვრივე და მოძრაობის ტემპი.
 - მოძრაობის დამოკიდებულება განწყობილებისა და განცდისაგან.
 - მოძრაობათა პლასტიკური ფორმა.

პლასტიკა და ქცევა

1. პოზიციები.
2. ვარჯიშები, პოზიციების შესწავლა.
3. ბატმანები, პუნტები.
4. ვარჯიშობანი „ჩაკეცისა.“
5. ხელების პოზიცია.
6. კორპუსისა და ხელების ვარჯიშობანი.
7. თავის დაკვრა.
8. მოსამზადებელი ჟესტები.
9. სალონის საცეკვაონი: ვალსი, მაზურკა, პოლონური პოლონეზი, მენუეტი.
10. სახასიათონი: ლეკური, ესპანიური, ტიროლისა აღმოსავლეთისა, უკრაინული, რუსული.

ფარიკაობა

1. იარაღის სხვადასხვა გვარად დაჭერა და ტარება.
2. შეტევა, დაცვა.
3. საფრანგეთისა და იტალიის ფარიკაობის სკოლები.
4. ესპადრონებითა და შპაგებით ბრძოლა სცენის პირობებში.
5. ხანჯალი. ნავახა. დანა.
6. შერეული იარაღით ბრძოლა.
7. დუელი.
8. გავლა სცენებისა, სადაც იარაღით ხელში ბრძოლაა საჭირო.

გიმნასტიკა

1. ვარჯიშობათა ზეგავლენა ტვინის სისხლის მოძრაობაში.
2. ცხვირითა და პირით სუნთქვა.
3. სუნთქვის გავლენა სისხლის მოძრაობაზე. ფილტვები.
4. სტატიკასა და დინამიკაში ვარჯიშობა.



ვარჯიშობანი:

1. სისხლის მოძრაობისა და სუნთქვის გასაუმჯობესებლად (მკერდის, მუცლისა და შერეული სუნთქვის განვითარება).
2. ნაკვთების სისტემის ჰარმონიული განვითარება.
3. მხრებისა და თავის სწორად დაჭერა.
4. მკერდის გაგანიერება.
5. ხერხემლის გასწორება.
6. ნივთიერებათა ცვალობადობის გაუმჯობესება (გასუქების ან გახდომის დროს).
7. მუცლის, ნაკვთების განვითარება.
8. სისწრაფის და მოქნილობის განვითარება (წონასწორობის დაცვა სხვადასხვა მდგომარეობაში).
9. თავბრუს შესუსტება.
10. ნორმალური მოძრაობის განვითარება (სიარული, სირბილი, ხტომა).
11. სცენაზე ზოგჯერ მოქმედებათა შესწავლა: აწევა, ტარება, დაჭერა, დაცემა, ჭიდაობა.

ფსიქოლოგია – სასცენო შემოქმედებასა და სასცენო თეორიასთან დაკავშირებული

1. ფსიქოლოგია და მისი როლი სასცენო შემოქმედებაში.
2. პიესის ტექსტი და სასცენო ლიბრეტო.
3. სხვადასხვა სახის პიესა. მათი შესწავლა სასცენო და ფსიქოლოგიური მხრით.
4. სამეცნიერო და სამხატვრო მუშაობა აქტიორისა.
5. როლის დეტალები.
6. სიყალბე და სიმართლე როლის შესრულებაში.
7. მსახიობის მუშაობა სცენამდე და სცენაზე.
8. მსახიობის გარეგნობა.
9. ანალიზი და სინთეზი.
10. სკოლა და შთაგონება.
11. შემეცნებითი პროცესი.

12. აქტიორი და პუბლიკა.
13. მაყურებელთა და კოლექტივის ფსიქოლოგია.
14. mises en sene. მნიშვნელობა მსახიობისა და რეჟისორისათვის.
15. შეგნებული შემოქმედება და შთაგონება.
16. თეატრის პოპულარიზაცია. სახალხო და ინტიმური თეატრი.
17. აქტიორის საშემოქმედო მასალა: ტექსტი, რემარკა, ხასიათი, ანსამბლი, რეჟისორის მიერ მიცემული ამოცანა.
18. რეპლიკა.
19. ფორმა და შინაარსი პიესისა.
20. მონოლოგი, დიალოგი, ტრიადა.
21. ტემპით რითმი პიესისა, როლი, ცალკე სცენები.
22. მსახიობი—ილუსტრატორი და მსახიობი-მიმბაძველი შემოქმედის აქტიორი. სხვის სიტყვებისაგან დამოკიდებულება საკუთარი სიტყვები. სასცენო შესრულების ტრადიციები.
23. რეპეტიცია და სპექტაკლი.
24. ლოდიკური და მექანიკური მეხსიერება.
25. განსახება. სასცენო ყურადღება.
26. როლით გამსჭვალვა.
27. მოხერხება.
28. გრძნობა, მგრძნობელობა, ნერვიულობა და ნერვიანობა.
29. განწყობილება. განცდა. ემოციები. ტემპერამენტი, გემოვნება. ფანტაზია.
30. სასცენო სახე და მისი განსახიერება.
31. სამხატვრო ზომა და ტაქტი.
32. რეალი. ცხოვრების გამოსახვა.
33. იმპრესიონიზმი. პორობითობა. სტილიზაცია.
34. მორთულობა. სადეკორაციო ნაწილი და მისი კავშირი აქტიორთან.
35. ტანისამოსი და გრიმი მსახიობისა.
36. ყოფა-ცხოვრება.

37. პათოლოგიური როლები.
38. ჟესტიკულაცია. ბოროტად გამოყენება ჟესტიკულაციისა და ეკონომიკა ჟესტიკულაციისა.
39. შეგნებული და შეუგნებელი პლასტიკა.
40. პოზა. გრიმასა.
41. სიცილი, ცრემლი, ყვირილი.
42. ტონი.
43. პაუზა. სიჩუმე და ცარიელი ადგილები სცენაზე.
44. სცენის ილიუზია.
45. სცენის ოპტიკა.
46. რეჟისორისა და აქტიორის პერსპექტივა სცენაზე.
47. როლის მისტიკა.
48. განსახიერებელი სახის რწმენა.
49. ტრაგედიების შესრულება. ბერძენთა ტრაგედია ტრაგედია შექსპირისა. კომედია. ხუმრობა. ვოდევილი.
50. თანამედროვე ძიებანი.
51. ფრანგების, იტალიელთა, გერმანელთა და რუსი აქტიორების სახასიათო თავისებურებანი.
52. მოსკოვის სამხატვრო თეატრი და მისი მნიშვნელობა.
53. მიუნხენის სამხატვრო თეატრი. მომავალი თეატრის როლი (7).

ასე გაჩნდა პრესაში პირველი პუბლიკაციები:

I

სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის
1939–40 სასწ. წლის მიღების პირობები

მომავალი სასწავლო წლისათვის გაიხსნება მხოლოდ სამსახიობო ფაკულტეტი, მისაღებ გამოცდებზე დაშვებულნი იქნებიან ერთავე სქესის მოქალაქენი 17–დან 25 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო განათლება (ათწლედნი, ტექნიკუმი, მოზრდილთა საშუალო სკოლა ან ვინც ექსტერნად ჩააბარა საშუალო სკოლის კურსი).



შემსვლელი ვალდებულია შემოიტანოს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება და შემდეგი საბუთები: 1. დაწვრილებითი ავტობიოგრაფია, 2. ატესტატი (დედანი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ), 3. პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად), 4. სამი უქულოდ გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი, ზომით 3/4.

შენიშვნა: თვითოეულ სურათს უნდა ჰქონდეს განმცხადებლის საკუთარი ხელმოწერა, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების მიერ დამოწმებული. 5. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულება), 6. მეტრიკული ამონაწერი და 7. ჯანმრთელობის მოწმობა (დეფექტიანები გამოცდაზე დაშვებულნი არ იქნებიან).

განცხადების მიღება იწარმოებს ყოველდღე (გარდა დასვენების დღეებისა) 15 ივლისიდან 10 აგვისტომდე ინსტიტუტის შენობაში, რუსთაველის პროსპექტი №21, მე-4 სართული, დილის 11 საათიდან დღის 2 საათამდე.

იქვე გაიცემა ყოველგვარი ცნობები იმავე საათებში, ინსტიტუტში შემოსვლის მსურველმა უნდა იცოდეს ზეპირად: ა) პროზის ნაწყვეტი, ბ) იგავ-არაკი, გ) ლექსი, დ) მონოლოგი ან ე) სცენა რომელიმე პიესიდან.

გარდა ამისა, შემომსვლელს გაესინჯება სმენა, რითმულობა, მანვე უნდა შესძლოს ელემენტარული სასცენო ამოცანების შესრულება. ამ განხრით დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლების შემდეგ შემსვლელი აბარებს საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურას (წერილობით და ზეპირს), 2. რუსულ ენას (წერილობით და ზეპირს), 3. სსრკ ხალხთა ისტორიას და სსრკ კონსტიტუციას, 4. მათემატიკას (ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია), 5. ფიზიკას და 6. ქიმიას
შენიშვნა: ფრიადოსნები საერთო განათლების საგნებში გამოცდებისაგან თავისუფლდებიან.

სტიპენდიები საერთო საფუძვლის მიხედვით. მხოლოდ

რაიონებიდან ჩარიცხულებს პირადად საცხოვრებელი ადგილიც მიეცემათ. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან. მიღებულთაგან, ვინც ამ დღეს არ გამოცხადდება, მექანიკურად გაირიცხება.

დირექცია

*გაზეთი „კომუნისტი“, 8 ივლისი,
1939 წელი, გვ. 4 (8).*

II

სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სკოლათა ფართო ქსელს მომავალი სასწავლო წლიდან ემატება კიდევ ერთი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. ეს არის თეატრალური ინსტიტუტი. იგი მოწოდებულია აღუზარდოს ჩვენს ქვეყანას უმაღლესი განათლებით აღჭურვილი სასცენო ხელოვნების სპეციალისტები— მსახიობები, რეჟისორები და თეატრის მცოდნენი. მომავალ სასწავლო წელს ჩვენ მხოლოდ სამსახიობო ფაკულტეტი გვექნება, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ამას მოემატება სარეჟისორო და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი.

სტუდენტთა კონტიგენტი განსაზღვრულია 120 მსმენელით. სწავლის კურსი ოთხ წლიანია. მეორე, მესამე და მეოთხე კურსები შევსებული იქნებიან რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების ყოფილ სტუდიათაგან სპეციალური შერჩევით, ხოლო პირველ კურსზე ახალი მიღება იქნება. შემოსვლის მსურველებმა აშკარა სამსახიობო მონაცემები უნდა გამოავლინონ სათანადო გამოცდის დროს, რაც 15 აგვისტოსათვის არის დანიშნული. მანამდე კი განცხადებები მიიღება ინსტიტუტის ბინაზე (რუსთაველის პრ. 21, მე-4 სართული).



სასწავლო გეგმა ვრცლად და საფუძვლიანად არის შედგენილი. იგი შეიცავს ოთხი განხრის დისციპლინებს: ა) საზოგადოებრივ-პოლიტიკური განათლების საგნებს, როგორცაა: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, პოლიტეკონომია, საერთო ისტორია; ბ) ხელოვნების მეცადინეობის დისციპლინებს, როგორცაა: მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი ხელოვნების შესახებ, თეატრის, ლიტერატურის, მუსიკის ისტორია, პლასტიკურ ხელოვნებათა ისტორია, ტანისამოსის ისტორია, რეჟისურა, დრამის ისტორია; გ) ზოგადი განათლების განხრით: ქართული, რუსული და უცხო ენები და ფსიქოლოგია; დ) სპეციალური დისციპლინების განხრით: მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება, ფიზიკური აღზრდა, რიტმულობა, ცეკვები, ქორეოგრაფია, გრიმი და ფარიკაობა. ამის გარდა ჩატარებული იქნება ეპიზოდური ლექციები კულტურისა და ხელოვნების დარგებიდან საჭიროების და მიხედვით. პედპერსონალი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეცნიერ და მხატვრულ ძალთაგან შესდგება. ამჟამად მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს სასწავლო წლის თავის დროზე (1 სექტემბერს) და ნორმალურად დაწყებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ჯეროვნად გამოიყენებს დიდი სტალინის მიერ მიძღვნილ კიდევ ერთ საუკეთესო ჯილდოს, რომლის წყალობით ჩვენს ქვეყანას და ხალხს შეემატება უმაღლესი ფართო სპეციალური თეორიული განათლებით და პრაქტიკული მომზადებით აღჭურვილი კადრები.

სოციალისტური კულტურის მშენებელი საბჭოთა არტისტი სრული შეიარაღებით უნდა წარსდგეს თავისი ხალხის წინაშე. იგი უნდა ფლობდეს კაცობრიობის მთელ კულტურას, როგორც ამას გენიოსი ლენინი გვასწავლიდა. ჩვენი არტისტი უნდა იბრძოდეს საბჭოთა ხელოვნების გაღრმავებისათვის, იმ ხელოვნებისა, რომლის დროშა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელოვნებათა დროშაზე მაღლა ფრიალებს მშრომელი

კაცობრიობის უბრძნესი ბელადის – ჩვენი საყვარელი
მასწავლებლის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ა. ფალავა

გაზეთი „კომუნისტი“

23 ივლისი, 1939, გვ.4 (9).

ასე დაიწყო სასწავლო წელი:

1939 წლის 1 სექტემბერს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს, მომავალ მსახიობებს, აკაკი ფალავას ხელმოწერით, ქვემოთ მოყვანილი ტექსტი დაურიგდა:

მსახიობის ფსიქოტექნიკა და მისი შემოქმედების მეთოდი

ვინ არის მსახიობი! მისი როლი და მნიშვნელობა სასცენო ხელოვნების დარგში. მსახიობი – ადამიანი, როგორც უმთავრესად ორგანიზებული მატერია. თვისებანი ამ მატერიისა. სასცენო ხელოვნების სპეციფიურობა. მისი ადგილი სხვა ხელოვნებათა შორის. მსახიობი როგორც შემოქმედი და როგორც სამოქმედო მასალა. ფიზიკური და ფსიქიური მხარე. ფსიქიკა, როგორც უაღრესად ორგანიზებული მატერიის თვისებანი. ფიზიოლოგიური პროცესები. მათი ურთიერთობა. ინტელექტი და მისი როლი. /ადამიანის აზროვნება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ ქმნის კიდევ მას./ლენინი/. ნებელობა და მისი მნიშვნელობა. გრძნობათა როლი და მნიშვნელობა. „ხელოვნება უნდა აერთიანებდეს მასათა გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას და აძლიერებდეს მათ“ /ლენინი/. მსახიობის სამუშაო პროცესი: თვითმობილიზაცია – ყურადღება



და მისი როლი. წრე. „მუშაობის დროს მოუცილებელი ყურადღებით ასახული მიზანშეწონილი ნებისყოფა“ /კ. მარქსი/ ელემენტალურ გრძნობათა გამოწვევა და მათი ემოციონალური ასახვა. ემოციათა როლი სასცენო ხელოვნებაში /სტანისლავსკი, მეიერჰოლდი, ლუნაჩარსკი/.

დასაძუშვებელ მასალის გაგება. შესწავლა. მიზანდასახულობა და ინტერპრეტაცია. ანალიზი დასაძუშვებელი მასალისა. ტექსტი. ობიექტების დაკონკრეტება. გრძნობა და მიმართება. სტალინის აზრი დასახულ მიზნის დაკონკრეტების შესახებ. ანალიზებულ მასალის სინთეტიური გაერთიანება გარკვეული მიზანდასახულობით.

უბრალო სასცენო ამოცანები
რთული სასცენო ამოცანები
სასცენო გრძნობის დაუფლება
ჟესტი და მისი როლი
მთელი სხეულის მონაწილეობა და მისი მნიშვნელობა.

პარტნიორთა ურთიერთობის გაბმა.

ნივთი და მასთან დამოკიდებულება.
სცენის პირობითი მხარეები
განათება და მისი როლი
გრიმი და მისი მნიშვნელობა.

იმპროვიზაცია. ეტიუდები. ცალკე სცენები. ნაწყვეტები.
მთლიან ნაწარმოებთა დაუფლება.

დრამატურგი და მასთან დამოკიდებულება სასცენო მოქმედების პარტიტურის შეთხზვა და ათვისება. რეჟისორი და მასთან ურთიერთობა.

აკაკი ფაღავა (10).

ასეთი შემადგენლობით წარსდგა 1939 წელს
ხელმეორედ დაბადებული ინსტიტუტი:

1939 წელი

საქმე №17

რექტორად დაინიშნა — რეჟისორი აკაკი ზორავა.
პრორექტორად სამეცნიერო დარგში — მსახობი აკაკი
ფალავა.

პრორექტორის თანაშემწედ დაინიშნა — ალექსანდრე
კიკნაძე.

ბრძანება №8

§ 5 — 15

1. მსახობის ოსტატობის და რეჟისურის კურსის
ხელმძღვანელი აკაკი ვასაძე
2. სასცენო მეტყველების კურსი — მალიკო მრევლიშვილი
3. რიტმის კურსი — ვალენტინა ვენდეროვიჩი — ჟღენტი
4. ფიზიკური აღზრდა — კონსტანტინე ბადრიძე
5. ქორეოგრაფია — ირაკლი ბაგრატიონი
6. ფარიკაობის კურსი — ანატოლი ფეოდოროვი
7. გრიმის კურსი — გიორგი სარჩიმელიძე
8. მუსიკალური აღზრდის კურსი — სერგო ნიქობაიძე

ბრძანება №8

§ 19—27

1. ხელოვნებათმცოდნეობის კათედრა — ხელმძღვანელი აკაკი
ფალავა
2. მარქსიზმ — ენგელს — ლენინ-სტალინის კურსი —
მამია დუდუჩავა
3. ქართული ლიტერატურის კურსი — ლუბა მეფარიშვილი
4. რუსული ლიტერატურის კურსი — აპოლონ სამსონია
5. ანტიკური ლიტერატურის კურსი — ჰანტელეიძონ ბერიძე

6. დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და დრამის თეორიის კურსი-კონსტანტინე კაპანელი
7. სახვითი ხელოვნების ისტორიის კურსი – ვახტანგ ბერიძე
8. ფსიქოლოგიის კურსი – რევაზ ნათაძე (11)

ასეთი იყო ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა 1939 წლის სექტემბრი-სათვის:

1. აკაკი ხორავა
2. აკაკი ფალავა
3. კონსტანტინე მთავრიშვილი
4. აკაკი ვასაძე
5. ისაკ გაბუნია
6. დიმიტრი ალექსიძე
7. ივანე პატარიძე
8. გიორგი ტოვსტონოგოვი
9. მალიკო მრეველიშვილი
10. ვალენტინა ჟღენტაი
11. გიორგი ჟაკობია
12. მამია დუდუჩავა
13. რუსუდან მიქელაძე
14. მიხეილ ურუშაძე – სტუდენტი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი
15. იოსებ კობახიძე – სტუდენტი, ადგილკომის თავმჯდომარე
16. ბენო გოგუა
17. პავლე ინგოროყვა
18. იოსებ გრიშაშვილი
19. შალვა დადიანი

20. ირაკლი აბაშიძე
21. სიმონ ჩიქოვანი
22. შალვა ამირანაშვილი
23. ლილი გვარამაძე
24. მიხეილ ჭიაურელი
25. კონსტანტინე კაპანელი
26. იონა ტუსკია
27. გრიგოლ კილაძე
28. დავით კაკაბაძე
29. ვერიკო ანჯაფარიძე
30. გიორგი თავზიშვილი
31. გიორგი ჩუბინაშვილი
32. დიმიტრი ჯანელიძე
33. ბესარიონ ჟღენტი
34. კონსტანტინე შახ-აზიზოვი
35. მოსე გოგიბერიძე (12)

ასე დასრულდა აღდგენილი ინსტიტუტის
პირველი სასწავლო წელი.

* * *

1940 წელი
დაიწყო ახალი სასწავლო წელი:

ბრძანება № 77

§ 2

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
თეატრალური ინსტიტუტის კათედრის გამგეებად
დაინიშნონ:

- 1) ხელოვნებათმცოდნეობის – აკაკი ფალავა
- 2) მსახიობის ოსტატობის – აკაკი ვასაძე

- 3) მარქსიზმ-ლენინიზმის – ისაკ გაბუნია
- 4) რეჟისურის – შოთა აღსაბაძე
- 5) ენისა და ლიტერატურის – გრიგოლ კიკნაძე

1941 წელი

ბრძანება №73

§ 2

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე შეიცვალოს,
დაინიშნოს-ოთარ ტატიშვილი

1942 წელი

ცვლილებები არ შეინიშნება

1943 წელი


ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მოიწვია
ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტები.

თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგები იყვნენ:

ბრძანება №46

§ 2

1. დიმიტრი ალექსიძე – მსახიობის ოსტატობა /უფროსი
მასწავლებელი/
2. ვარლამ ბახტაძე – საერთო ისტორია /უფროსი
მასწავლებელი/
3. ვახტანგ ბერიძე – სახვითი ხელოვნების ისტორია
/დოცენტი/
4. ვალენტინა გამსახურდია – ცეკვა /უფროსი მასწავ-
ლებელი/

- 
5. გრიგოლ კიკნაძე – ლიტერატურის კათედრის გამგე
/დოცენტი/
6. რუსუდან მიქელაძე – რუსული ენა /უფროსი
მასწავლებელი/
7. მალიკო მრევლიშვილი – სასცენო მეტყველება /დო-
ცენტი/
8. გიორგი ტოვსტონოგოვი – მსახიობის ოსტატობა
/უფროსი მასწავლებელი/
9. აკაკი ფაღავა – თეატრის ისტორიის კათედრის გამგე
/პროფესორი/
10. დიმიტრი ჯანელიძე – ქართული და რუსული თეატრის
ისტორია /უფროსი მასწავლებელი/

1944 წელი

ინსტიტუტი იწყებს გაფართოებას:

საქმე №18

ბრძანება №591

გაიხსნა თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი

1945 წელი

ცვლილებები არ შეინიშნება.

1946 წელი

ბრძანება №67

§ 1

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე კვლავ შეიცვალა,
დაინიშნა ალექსანდრე ვერულია

1947 წელი

ინსტიტუტში ჩამოყალიბდა არაერთი ფაკულტეტი. პედაგოგებად უკვე მოღვაწეობენ ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულები:

მსახიობის ოსტატობის კათედრა:

1. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი – პროფესორი, მ/ა-დეკანი, რეჟისორისა და დასავლეთ ევროპის თეატრის ლექტორი
2. აკაკი ვასაძე – პროფესორი, მ/ა მსახიობის ოსტატობის პედაგოგი
3. დიმიტრი ალექსიძე – პროფესორი, მ/ა მსახიობის ოსტატობის პედაგოგი
4. აკაკი ხორავა – პროფესორი, მსახიობის ოსტატობის პედაგოგი
5. მალიკო მრევლიშვილი – დოცენტი, სასცენო მეტყველების პედაგოგი
6. ირაკლი ციციშვილი – უფროსი მასწავლებელი ხატვის მაკეტის, დეკორატიული ხელოვნების და სასცენო ტექნიკის პედაგოგი /საათობრივი/
7. შოთა მესხი – მასწავლებელი, მსახიობის ოსტატობის პედაგოგი
8. ვერიკო ანჯაფარიძე – რესპუბლიკის სახალხო არტისტი მსახიობის ოსტატობის პედაგოგი
9. გიორგი სარჩიმელიძე – უფროსი მასწავლებელი, გრიძის პედაგოგი

10. ნინო რიადნოვა – უფროსი მასწავლებელი, სიმღერის
პედაგოგი

11. ელენე იოსელიანი – მსახიობის ოსტატობის პედაგოგი

12. ვლადიმერ ადამიძე – რესპუბლიკის დამსახურებული
არტისტი-ოსტატობის კათედრის ასისტენტი

13. ბარბარე ნიკოლაიშვილი – მსახიობის ოსტატობის
კათედრის ასისტენტი

14. ნინელი ჩიქოვანი – მსახიობის ოსტატობის
კათედრის უფროსი ლაბორანტი

15. ნატალია ამბოქაძე – კონცერტმეისტერი

თეატრმცოდნეობის კათედრა:

1 აკაკი ფაღავა – პროფესორი, კათედრის გამგე და
დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორიის ლექტორი

2. კონსტანტინე მეღვინეთუხუცესი – მუსიკის ისტორიის
პედაგოგი

3. დიმიტრი ჯანელიძე – დოცენტი, ქართული თეატრის
ისტორიის ლექტორი

4. დიმიტრი ბენაშვილი – მასწავლებელი, თეატრის
კრიტიკის ისტორიის ლექტორი

5. ნინო შვანგირაძე – უფროსი მასწავლებელი, ანტიკური
თეატრის ისტორიის ლექტორი.

6. ნადეჟდა შალუტაშვილი – კათედრის ასისტენტი

7. სოლომონ წერეთელი – უფროსი ლაბორანტი

8. ნათელა ლაშხია – უფროსი ლაბორანტი

ლიტერატურისა და ენების კათედრა:

1. აპოლონ სამსონია – დოცენტი, რუსული ლიტ. ისტორიის ლექტორი
2. აკაკი გაწერელია – უფროსი მასწავლებელი, ლიტერატურისა და დრამის თეორიის ლექტორი
3. ოთარ ჯინორია – უფროსი მასწავლებელი, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ლექტორი
4. შოთა ძიძიგური – დოცენტი, უძველესი ქართული ენის ლექტორი /საათობრ/
5. რუსუდან მიქელაძე – უფროსი მასწავლებელი, რუსული ენის პედაგოგი
6. თინათინ ყაუხჩიშვილი – უფროსი მასწავლებელი, ანტიკური ლიტერატურის ისტორიის ლექტორი
7. ჯუმბერ ჭუმბურიძე – მასწავლებელი, ქართული ლიტერატურის ისტორიის ლექტორი
8. ალექსანდრე კიკნაძე – რუსული ენის პედაგოგი
9. კონსტანტინე ჯორჯიკია – ფრანგული ენის პედაგოგი
10. ნინო ჯაიანი – უფროსი მასწავლებელი, ინგლისური ენის პედაგოგი
11. კონსტანტინე ნემსაძე – უფროსი მასწავლებელი, გერმანული ენის პედაგოგი

სასცენო მოძრაობის კათედრა:

1. ვალენტინა ჟღენტი – პროფესორი, რიტმიკის პედაგოგი
2. ვალენტინა გამსახურდია – უფროსი მასწავლებელი, ცეკვის პედაგოგი



3. ანატოლი ფეოდოროვი – უფროსი მასწავლებელი,
სასცენო მოძრაობის პედაგოგი

4. ლაზარე ყაზაიშვილი – უფროსი მასწავლებელი, ქართული
ქორეოგრაფიის პედაგოგი

5. ეკატერინე კელია – კათედრის უფროსი ლაბორანტი

სამხედრო კათედრა:

ელიზბარ გაბელია – პოლკოვნიკი. კათედრის გამგე და
სამხედრო მომზადების პედაგოგი

გაჩნდა პირველი ბრძანება საქართველოს
ფარგლებს გარეთ სტუდენტების გასვლითი
მივლინებისა და საერთაშორისო ფესტივალებზე
მონაწილეობის თაობაზე:

საქმე №1 –68

ბრძანება №43

სარეჟისორო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები ა. წ.
29 მაისიდან მივლინებულნი იქნან ქალაქ მოსკოვში საწარმოო
პრაქტიკაზე ერთი თვის ვადით და მიეცეთ ერთი თვის
სტიპენდია.

1948 წელი

გრძელდება ინსტიტუტის უპირველესი
ტრადიცია – პედაგოგებად კვლავ იწვევენ
შესაბამისი დარგის საუკეთესო სპეციალისტებს.
იწყება ინსტიტუტის ცხოვრებაში ახალი საფეხური:

საქმე №13

ბრძანება №13/2

დაარსდა კინომსახიობთა განყოფილება. გამგე – ომარ ჩიმაკაძე. (13).

ამავე წლის 11 თებერვალს ბატონმა აკაკი ფალავამ თეატრმცოდნეობის კათედრის დია სხდომაზე პირველად წაიკითხა შემდეგი მოხსენება:

თეატრალური განათლება საბჭოთა საქართველოში
(25 წლის თავის (1922 – 1947))

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება თავიდანვე შეუდგა თეატრალური განათლებისათვის ზრუნვას და ამ სტრიქონების ავტორს დაევალა ხსენებული საქმის მოგვარება. ეს იყო 1921 წლის გაზაფხულზე. შედგენილ იქნა სათანადო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიურ ცენტრს (ასე ეწოდებოდა მაშინ განსახკომის სათანადო განყოფილებას) საჭირო სახსრები არ აღმოაჩნდა და ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. არა და ახალი კადრები თეატრისათვის ძლიერ საჭირო იყო, რადგანაც თბილისის სახელმწიფო დრამის თეატრის გარდა მთელს რესპუბლიკაში გაიბა ქსელი თეატრებისა. კადრები კი არამც თუ პერიფერიას, ცენტრსაც კი არ ყოფნიდა.

მხოლოდ 1922 წლის გაზაფხულზე, 20 მარტიდან ჩამოყალიბებულმა აკაკი ფალავას დრამატულმა სტუდიამ ჩაუყარა ქართულ საბჭოთა თეატრალურ განათლებას მკვიდრი საფუძველი.

დრამატული სტუდიის სასწავლო გეგმა შედგებოდა შემდეგი დისციპლინებისაგან: 1. ანატომია, ფიზიოლოგია და ყელის ჰიგიენა 2. მეტყველების ტექნიკა/ სუნთქვა, დიქცია, მეტყველების

ნაკლოვანებათა გამოსწორება/ 3. მხატვრული მეტყველება, 4. ძირითადი სასცენო ელემენტების დამუშავება. 5. იმპროვიზაცია და მიმოდრამა, 6. მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლფეჯიო, 7. სახვითი ხელოვნებათა ისტორია, 9. რიტმოპლასტიკა, 10. ფსიქოლოგია, 11. ესთეტიკა, 12. აკრობატიკა, 13. ფარიკაობა, 14. გრიმი, 15. ჩაცმულობის ისტორია, 16. მსახიობის ოსტატობა.

მეცადინეობა სწარმოებდა საღამოობით 5 საათიდან. სტუდიაში იყო ოთხი მიღება: 1922, 24 და 25 წლებში. ორ-ორი წლის შემდეგ იგი ახალ კადრებს აძლევდა რესპუბლიკის თეატრებს, უმთავრესად კი რუსთაველის თეატრს. ამ სტუდიაში ოთხი წლის განმავლობაში ორასამდე ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა გაიარა სამსახიობო განათლება. (მეცადინეობა მიმდინარეობდა რუსთაველის თეატრის სამ დარბაზში)

1923 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე /ოქმი №31/ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა ასეთი დადგენილება:

„განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება თბილისში სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შესახებ მოწონებულ იქნეს და ეთხოვოს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს ჩაერიცხოს მომარაგებაზე. პროექტი შტატისა და ინსტიტუტის შესანახი საჭირო ხარჯთა აღრიცხვა გადაეცეს სასწრაფო განსახილველად და დასკვნისათვის ცალკე კომისიას“. ამ დადგენილების საფუძველზე განათლების სახალხო კომისარიატმა თეატრალურ ინსტიტუტად აღიარა აკ. ფალავას დრამატიული სტუდია და სახელმწიფო თეატრების დირექციას /იმ დროს თბილისის სახელმწიფო თეატრებს ერთი დირექცია ჰყავდა/ ხარჯზე ინახავდა.

1926 წელს თეატრალური ინსტიტუტი მოულოდნელად დაიხურა. 1927 წელს რუსთაველის თეატრთან, ხოლო 1931 წელს მარჯანიშვილის თეატრთან ჩამოყალიბდა დრამატიული სტუდიები. პირველმა მათგანმა იარსება 12 წლის განმავლობაში



/1927 – 39/, და გამოუშვა 157 ახალგაზრდა /მათ შორის 33 ქალი და 124 ვაჟი/. ამ რიცხვში შედიან 94 ქართველი, 19 აფხაზი, 19 ოსი და 25 ინგუშ-ჩეჩენი.

მარჯანიშვილის თეატრთან არსებულმა სტუდიამ გამოუშვა სულ 36 მსახიობი /5 ქალი და 31 ვაჟი/. სასწავლო გეგმა ორივეს ერთნაირი ჰქონდა სტუდია-სახელოსნო.

განათლების კომისარიატის წინადადებით 1933 წლის შემოდგომიდან აკაკი ფალავას მიერ ჩამოყალიბებულ იქნა „სასცენო ხელოვნების უმაღლესი კურსები“ – დრამატიული, ქორეოგრაფიული და საესტრადო განყოფილებებით.

სასცენო ხელოვნების უმაღლესმა კურსებმა იარსება მხოლოდ ორი წელიწადი /1933–35/. კურსებს არ ჰქონდა საკუთარი ბინა. ერთ წელიწადს იგი პირველი საცდელ-საჩვენებელ ათწლეულის დარბაზებში მუშაობდა, მეორე კი ყოფილ II ქალთა გიმნაზიის შენობაში /კამოს ქუჩაზე/.

1939 წლის გაზაფხულზე თბილისში იქნა მოვლინებული საკავშირო სახელოვნო კომიტეტის წარმომადგენელი, რომელმაც გამოარკვია, რომ ჩვენ თეატრალური განათლების საქმე სათანადო დონეზე არა გვაქვს დაყენებული და ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა თეატრებთან და კინოსტუდიასთან არსებული სკოლების საფუძველზე შექმნილიყო სპეციალური უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი. ასედაც მოხდა და ამის შედეგად 1939 წლის 1-ლ სექტემბრისათვის ჩამოყალიბდა ამჟამად არსებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, იმ დროს თბილისის თეატრებსა და კინო-სტუდიასთან არსებულ სტუდიების ბაზაზე. ამ მოსწავლეთა სპეციალური კომისიის მიერ სათანადო გადარჩევით დაკომლექტებულ იქნა პირველსავე წელს ზსენებული ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სამი კურსი /II, III, IV/, ხოლო პირველი კურსისათვის ჩატარდა ახალი მიღება.

1940 წელს გახსნილ იქნა სარეჟისორო ფაკულტეტი.
1944 წელს თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი.

ინსტიტუტს, გარდა სამეცადინო აუდიტორიებისა აქვს საკუთარი პატარა თეატრი/40 ადგილიანი დარბაზით და დამეტრში ათ მეტრიანი სცენით, რომელზედაც დიდი თეატრების დიდ სცენებზე არა ნაკლები მხატვრული გემოვნებით იდგმება საკურსო და სადიპლომო წარმოდგენები/.

შექმნისთანავე ინსტიტუტის რეპერტუარში იყო, როგორც ქართული ორიგინალური /თანამედროვე და კლასიკური/, ისე რუსული კლასიკური და თანამედროვე პიესები, დას. ევროპის კლასიკა და ახალი პიესებიც პოულობდნენ თავიანთ ადგილს ინსტიტუტის რეპერტუარში.

ინსტიტუტი აწარმოებს სამეცნიერო – კვლევით მუშაობას; ყოველწლიურად იკითხება სათანადო მოხსენებანი და ტარდება სამეცნიერო კონფერენციები.

*პროფესორი /აკ. ფაღავა/
1974 წლის 8/II (14).*

1949 წელი

ბრძანება №129

სასცენო მოძრაობის კათედრის გამგედ დაინიშნოს ვალენტინა ჟღენტი.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საკავშირო ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სასწავლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს 1949 წლის 22 აგვისტოს ბრძანების №288 საფუძველზე, ინსტიტუტის წესდების შესაბამისად გამოიყოს მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრიდან ცალკე ერთეულად მეტყველების კათედრა



მეტყველების კათედრის გამგედ ა/წ 1 სექტემბრიდან დაინიშნოს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი – მალიკო მრეკლიშვილი.

ბრძანება №144

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ დაინიშნოს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მასწავლებელი ლიდა ბარამია.

ბრძანება №144

ლიტერატურისა და ენის კათედრის გამგე – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, აპოლონ სამსონია.

1950 წელი

ბრძანება №18

რექტორად დაინიშნა დიმიტრი (დოდო) ალექსიძე.

ბრძანება №13

მსახიობის ოსტატობის და რეჟისორის კათედრის გამგედ დაინიშნოს აკაკი ხორავა.

ბრძანება №129

სასცენო მოძრაობის კათედრის გამგის მოვალეობის შესრულება დაევალოს დიმიტრი ალექსიძეს.

1951 წელი

ბრძანება №18/3

რექტორად დაინიშნა მიხეილ კვესელავა.

1952 წელი

ბრძანება №18/4

რექტორად დაინიშნა ლევან კიკნაძე.

ბრძანება №118

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ დაინიშნოს გრიგოლ კიკაჩიშვილი.
2. მსახიობის ოსტატობისა და რეჟისორის კათედრის გამგედ - აკაკი ხორავა.
3. სასცენო მეტყველების კათედრის გამგედ - მალიკო მრევლიშვილი.
4. თეატრის ისტორიის კათედრის გამგედ - აკაკი ფაღავა.
5. ქართული და რუსული ლიტერატურის კათედრის გამგედ - დიმიტრი ჯანელიძე.

1953 წელი

ბრძანება №114

მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრის გამგის მოვალეობის შესრულება ა/წ. 1 თებერვლიდან დაევალოს დოცენტ დიმიტრი ალექსიძეს.

ბრძანება №74

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ დაინიშნოს დოცენტი გრიგოლ კიკაჩიშვილი.
2. მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის კათედრის გამგედ – პროფესორი აკაკი ხორავა.
3. სასცენო მეტყველების კათედრის გამგედ – ალექსანდრე ინაშვილი.
4. თეატრმცოდნეობის კათედრის გამგედ – პროფესორი აკაკი ფალავა.
5. ლიტერატურისა და ენების კათედრის გამგედ – დოცენტი დიმიტრი ჯანელიძე.

1954 წელი

ბრძანება №152

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ დაინიშნოს დოცენტი თამარ კოსტანაშვილი.
2. მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრის გამგედ – დოცენტი დიმიტრი ალექსიძე.
3. სასცენო მეტყველების კათედრის გამგედ – დოცენტი მაღიკო მრევლიშვილი.
4. თეატრის ისტორიის კათედრის გამგედ – პროფესორი აკაკი ფალავა.

1955 წელი

ბრძანება №73

- რექტორად დაინიშნა პროფესორი ილია თავაძე.
პრორექტორად სამეცნიერო დარგში დაინიშნა – პროფესორი ეთერ გუგუშვილი.

1956 წელი

კვლავ გაფართოვდა ინსტიტუტი:
სამსახიობო ფაკულტეტს შეემატა მუსიკალური
განყოფილება.

1957 წელი

ცვლილებები არ შეინიშნება (15).

1958 წელი

ბრძანება №138

დაარსდეს მუსიკალური კომედიის კათედრა, კათედრის
გამგედ დაინიშნოს პროფესორი კონსტანტინე
მელვინეთუხუცესი.

ინსტიტუტმა გამოუშვა პირველი აფხაზური ჯგუფი
1959–1960–1961 წლები

ცვლილებები არ შეინიშნება.

1962 წელი

ბრძანება № 158

თეატრის ისტორიის კათედრის გამგედ დაინიშნოს
დოცენტი დიმიტრი ჯანელიძე.

თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე დაარსდა დაუსწრებელი
განყოფილება.

1963 წელი

ცვლილებები არ შეინიშნება.

1964 წელი

დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მომზადდა
სამსახიობო კადრი 13 ახალგაზრდის შემადგენლობით

1965 წელი

ბრძანება № 172

§ 1

მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრის გამგედ
დაინიშნოს დოცენტი ივანე პატარიძე

§ 2

სარეჟისორო ფაკულტეტზე დაარსდა სარეჟისორო-
საბალეტმეისტერო განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა
სსრკ სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი

1966 წელი

ცვლილებები არ შეინიშნება

1967 წელი

რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით
შეიქმნა ექსპერიმენტალური ჯგუფი, ცნობილი „მე-
11 აუდიტორიის თეატრი“

ინსტიტუტმა გამოუშვა მსახიობთა ერთი ჯგუფი რუსული
თეატრისათვის

საქმე №157-279

ბრძანება №175

მივლინებულნი იქნენ ჩეხოსლოვაკიაში ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ა. წ. 19 /IX-დან (16).

1968 წელი

ცვლილებები არ შეინიშნება

1969 წელი

თეატრალურმა ინსტიტუტმა იზეიმა დაარსების 30 წელი (ამჯერად, დაარსების თარიღად, 1939 წელი ჩაითვალა).

თეატრალური ინსტიტუტი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით

საქმე №1-444

ბრძანება №112

§ 1

მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრის გამგედ დაინიშნოს პროფესორი დიმიტრი ალექსიძე.

§ 2

სასცენო მოძრაობის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად – უფროსი მასწავლებელი იური ზარეცკი

საქმე №1-444

ბრძანება №114

თეატრალური ინსტიტუტის საკავშირო დათვალიერებასთან დაკავშირებით მივლინებულ იქნენ ქალაქ ლენინგრადში ა. წ. 29/V-დან 10 დღით სპექტაკლში მონაწილე სტუდენტები.

1970 წელი

პირველად გამოიცა სამეცნიერო ნაშრომების კრებული „თეატრმცოდნეობითი ძიებანი“, რედაქტორი-ილია თავაძე, სარედაქციო კოლეგია: შ. გოგიძე, ე. გუგუშვილი, ა. თავზარაშვილი, შ. მაჭავარიანი, ბ. ნიკოლაიშვილი და დ. ჯანელიძე.

ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა 1994 წელს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიური პირობების გამო. ამ ხნის მანძილზე დაისტამბა 19 კრებული.

ბრძანება №153

§ 1

მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის კათედრის გამგედ დაინიშნოს დოცენტი ივანე პატარიძე.

§ 2

მუსკომედიის განყოფილების კათედრის გამგედ – პროფესორი ნათელა ბოკუჩავა.

1971 წელი

ცვლილებები არ შეინიშნება.

1972 წელი

ბრძანება №267

§ 1

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ დაინიშნოს
პროფესორი, რექტორი, ილია თავაძე

მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის კათედრის გამგედ
– პროფესორი დიმიტრი ალექსიძე

სასცენო მეტყველების კათედრის გამგედ – დოცენტი
ბარბალე ნიკოლაიშვილი

მუსიკალური დისციპლინების კათედრის გამგედ –
პროფესორი კონსტანტინე მეღვინეთუხუცესი

§ 2

გაიხსნა ტელე-სარეჟისორო ფაკულტეტი და
კინომცოდნეობის ფაკულტეტი:

კინოსარეჟისორო სახელოსნოს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი
თენგიზ აბულაძე.

1973 წელი

ბრძანება №390

§ 1

რექტორად დაინიშნა – პროფესორი ეთერ გუგუშვილი.

§ 2

პრორექტორად სამეცნიერო დარგში – პროფესორი შოთა გაბილაია.

ბრძანება №391

პრორექტორად სასწავლო დარგში დაინიშნოს პროფესორი ვასილ კიკნაძე.

ბრძანება №12/4

§ 1

მუსიკალური დისციპლინების კათედრას სათავეში ჩაუდგეს პროფესორი მ. ბორჩხაძე.

§ 2

შეიქმნას სოციოლოგიის კაბინეტი (ლაბორატორია).

საქმე №1 – 293

ბრძანება №1

მივლინებულ იქნენ ქალაქ მოსკოვში ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე ა. წ. 10/I – დან 10 დღით.

ბრძანება №22

ზამთრის არდადეგების პერიოდში ა. წ. 26/I –დან 10 დღით მივლინებულ იქნან საწარმოო პრაქტიკაზე ქალაქ მოსკოვში სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის XVII ჯგუფის სტუდენტები.

ბრძანება №23

მივლინებულ იქნენ ქალაქ მოსკოვში ინსტიტუტის მუსკომედიის განყოფილების V კურსის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე ა. წ. 27/I –დან 10 დღით.

1974 წელი

ბრძანება №318

მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრა გაიყოს ორად:

1. მსახიობის ოსტატობის კათედრას სათავეში ჩაუდგეს რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი.
2. დრამის რეჟისურის კათედრას – რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე.

ბრძანება №67/1

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ ჭელიძე დამტკიცებული იქნეს მარქსიზმ–ლენინიზმის კათედრის გამგის თანამდებობაზე.

დაარსდა კინო–სარეჟისორო ფაკულტეტი.

საქმე № 146 – 896

ბრძანება № 17

მივლინებულ იქნენ ქალაქ მოსკოვში სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები (II –III –IV კურსი) სასწავლო საწარმოო პრაქტიკაზე. ა. წ. 25/ I– დან 10 დღით.

ბრძანება №18

მივლინებულ იქნენ ქალაქ ტალინში თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები სასწავლო საწარმოო პრაქტიკაზე ა. წ. 25/I-დან 10 დღით.

1975 წელი

ბრძანება №31/1

§ 1

კინო რეჟისურის კათედრას სათავეში ჩაუდგეს რეჟისორი რევაზ ჩხეიძე

§ 2

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ დაინიშნოს შალვა გოგიძე

საქმე №82-86

ბრძანება №86/II

მხატვრული კითხვის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ ლენინგრადში მივლინებულ იქნენ უფროსი მასწავლებელი ელენე შერმანი თავის ჯგუფთან ერთად, ა. წ. 26/IV -26/V-მდე.

საქმე № 200-210

ბრძანება №201/2

აზერბაიჯანის სახელმწიფო ხელოვნების ინსტიტუტში

სპექტაკლის „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ — ნებლად ქალაქ ბაქოში ა. წ. 22/X-დან — 26/X-მდე. მივლინებულ იქნას სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები (17).

1976 წელი

კვლავ გრძელდება ინსტიტუტის ტრადიცია. კათედრებს ხელმძღვანელობენ საუკეთესო სპეციალისტები:

ბრძანება № 22/2

§ 1

მუსიკალური დისციპლინების კათედრას სათავეში ჩაუდგეს ზურაბ ანჯაფარიძე

§ 2

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას — პროფესორი ვახტანგ ჭელიძე

საქმე № 2

ბრძანება № 251

თოჯინური სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ მოსკოვში ა. წ. 28/V-დან 10 დღით მივლინებულ იქნენ სამსახიობო ფაკულტეტის, თოჯინების განყოფილების III კურსის სტუდენტები.

1977 წელი

ბრძანება № 24/2

დამტკიცდეს კინორეჟისურის კათედრა

საქმე № 608

ბრძანება №6/3

ზამთრის არდადეგებზე პრაქტიკის მიღების მიზნით ქალაქ ოდესაში გაიგზავნოს მუსკომედიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები ა. წ. 26/I-დან 10 დღით.

ბრძანება №14/3

სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის XVI ჯგუფი, როგორც ერთადერთი საუკეთესო გამარჯვებული აკადემიურ ჯგუფებს შორის, რომლებსაც არ გამოუყენებიათ ზამთრის არდადეგების დღეები /სპექტაკლის ჩაბარების გამო/, დაჯილდოვდეს მივლინებით ქალაქ მოსკოვში ა. წ. 17/II-დან 28/ II-მდე საკურსო სპექტაკლის ჩვენებით.

1978 წელი

ბრძანება № 12/5

ა. წ. 10 /IV-დან 16/IV-მდე ქალაქ ერევანში სომხეთის ალკკ კომიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობის ინიციატივით მოწყობილ შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საკავშირო დათვალიერებაში (ფესტივალში) მონაწილეობის მისაღებად მივლინებულ იქნან კინოსარეჟისორო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები.

საქმე №609

ბრძანება №14/8

ა. წ. 13/IV-დან 20/IV-მდე ქალაქ ლენინგრადში ვ. იახონტოვის სახელობის სტუდენტთა მხატვრული კითხვის საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მივლინებულ იქნან სამსახიობო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები.

1979 წელი

საქმე №9

ბრძანება №13/9

§ 1

მუსიკალური დისციპლინების კათედრის გამგედ დაინიშნოს ვლადიმერ კანდელაკი

§ 2

ფილოსოფიის კათედრის გამგედ – პროფესორი ვახტანგ ჭელიძე (18)

1980 წელი

ბრძანება №67/1

პრორექტორად სამეცნიერო დარგში დაინიშნა პროფესორი ვახტანგ ჭელიძე

სკკპ ისტორიის და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის ხელმძღვანელობა დაევალა პროფესორ ვლადიმერ ბურდულს.

საქმე №3

ბრძანება №3/3

მივლინებულ იქნან ქალაქ მოსკოვში პრაქტიკაზე ა. წ. 25/I-დან 7/II-მდე 12 სტუდენტი (სამსახიობო ფაკულტეტის I-II კურსებიდან არჩევით).

საქმე №5

ბრძანება №21/5

მივლინებულ იქნან ქალაქ ლენინგრადში ვლ. იახონტოვის სახელობის სტუდენტთა საკავშირო მხატვრული კითხვის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. III-IV კურსის სტუდენტები მათი ხელმძღვანელების მეთაურობით 11/IV-დან 17/IV-მდე.

ბრძანება № 50/5

მივლინებულ იქნან ქალაქ მოსკოვში ა. წ. 15 /X –დან 23/X–მდე ა.ვ. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში საპასუხო ვიზიტით III კურსის თეატრის ეკონომიკისა და დაგეგმარების განყოფილების სტუდენტები.

1981 წელი

ბრძანება №8/1

1. სასცენო მოძრაობის კათედრის გამგედ დაინიშნა იური ზარუცკი.
2. მუსიკალური დისციპლინების კათედრას სათავეში ჩაუდგა ზურაბ ანჯაფარიძე.

3. ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელობა
პროფესორი გიორგი ბაქრაძეს.

ბრძანება №5

საქმე №15/5

სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის IV კურსის
XXIII ჯგუფის სტუდენტები მივლინებულ იქნან ქალაქ კიევში
საკურსო სპექტაკლ „სეილემის პროცესისა“ და სადიპლომო
სპექტაკლ „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი ანუ სამოთხის
ჩიტი“ საჩვენებლად ა. წ. 19/III-დან 26/III-მდე.

1982 წელი

საქმე №5

ბრძანება №3/5

მივლინებულ იქნან ქალაქ მოსკოვში თანახმად სასწავლო
გეგმის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის II კურსის სტუდე-
ნტები ა. წ. 15/I-დან 25/I

ბრძანება №4/5

§ 1

საწარმოო-პრაქტიკის გასავლელად თეატრმცოდნეობის
ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები მივლინებული იქნან
კიევის კარპენკო-კარის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში
ა. წ. 10/II-დან 10/III-მდე

§ 2

ლენინგრადის თეატრის მუსიკისა და კინემატოგრაფიის
ინსტიტუტში მივლინებული იქნან თეატრმცოდნეობის



ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები ა. წ. 10/II-დან III-მდე.

ბრძანება №9/5

სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის XXV ჯგუფის სტუდენტები მივლინებული იქნან ქალაქ კიევში კარპენკო-კარის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში სადიპლომო სპექტაკლ „მარადისობის კანონის“ საჩვენებლად ა. წ. 9/IV-დან 15/IV-მდე

ბრძანება №12/5

მივლინებულ იქნან ქალაქ ლენინგრადში ვლ. იახონტოვის სახელობის სტუდენტთა საკავშირო მხატვრული კითხვის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ა. წ. 9/IV-დან 15/IV-მდე სარეჟისორო ფაკულტეტის III კურსის და სამხატვრო ფაკულტეტის III-IV კურსის სტუდენტები (შერჩევით)

ბრძანება №13/5

§ 1

მივლინებული იქნან ქალაქ რიგაში საწარმოო პრაქტიკაზე თანახმად სასწავლო გეგმისა კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები ა. წ. 15/IV-დან 10/V-მდე.

ბრძანება №35/3

მივლინებული იქნან ქალაქ ერევანში ამიერკავკასიის თოჯინების თეატრთა საკავშირო ფესტივალზე სამსახიობო

ფაკულტეტის /თოჯინების განყოფილება/ XVII
სტუდენტები ა. წ. 19/X–დან 27/X–მდე

1983 წელი

ბრძანება №1/6

გაიხსნა დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო
თეატრი, დირექტორი–თენგიზ პირველი

საქმე №5

ბრძანება №49/5

კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტის სტუდენტები
მივლინებულ იქნან ქალაქ კლაიპედაში, ლიტვის სახელმწიფო
კონსერვატორიაში არსებული კულტურულ–საგანმანათლებლო
ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში
მონაწილეობის მისაღებად. ა. წ. 2/XI–დან 7/XI–მდე.

1984 წელი

ბრძანება №3/1

§ 1

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის
ხელმძღვანელობა დაევალოს ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს

§ 2

დაარსდეს კინომცოდნეობის ფაკულტეტი, რომელსაც
სათავეში ჩაუდგეს კორა წერეთელი

საქმე №5

ბრძანება №5/5

მივლინებულ იქნან ქალაქ მოსკოვში „მოსფილმფონდში“ საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით კინოკაბინეტის გამგე და სტუდენტები ა. წ. 21/I –დან 7/II – მდე.

ბრძანება №20/8

სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის XXVIII ჯგუფის სტუდენტები მივლინებულ იქნან ქალაქ კიევში კარპენკო–კარის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში სადიპლომო სპექტაკლის „დრაკონის“ საჩვენებლად ა. წ. 25/V –დან 11/V –მდე.

ბრძანება №35/5

სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის (მინიატურების ჯგუფი) სტუდენტები მივლინებულ იქნან ქალაქ ვილნიუსში კონსერვატორიაში საპასუხო ვიზიტით ა. წ. 26/VI –დან 4/VII –მდე.

1985 წელი

ბრძანება №24/2

პრორექტორად სამეცნიერო დარგში დაინიშნოს პროფესორი თამაზ ქვარიანი

ბრძანება №26/2

§ 1

მსახიობის ოსტატობის კათედრას სათავეში ჩაუდგეს რეჟისორი გაიოზ ჟორდანიას

§ 2

დრამის რეჟისურის კათედრის ხელმძღვანელობა დაევალოს რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილს

§ 3

სასცენო მოძრაობის კათედრის – ნათელა იონათამიშვილი

§ 4

მუსიკალური დისციპლინების კათედრის – თეიმურაზ აბაშიძე

§ 5

მსახიობის ოსტატობის ნაციონალური კათედრის – ეფრემ შაფთოშვილი

საქმე №5

ბრძანება №3/5

მივლინებულ იქნან ქალაქ მოსკოვში კინოსტუდია „მოსფილმის“ კომბინირებულ გადაღებათა სააქროს გასაცნობად კინოსაოპერატორო ფაკულტეტის 10 სტუდენტი ა. წ. 25/I-დან 5/II-მდე.

ბრძანება №4/5

კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტის IV კურსის 15 სტუდენტი მივლინებულ იქნას ქალაქ კლაიპედაში საწარმოო პრაქტიკაზე ა. წ. 9/II-დან 18/II-მდე.

ბრძანება №9/5

თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები მივლინებულ იქნან ქალაქ მოსკოვში სასწავლო-საწარმოო პრაქტიკაზე ა. წ. 25/II-დან 7/III-მდე.

1986 წელი

ბრძანება №73/2

ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე.

საქმე №5

ბრძანება №21/5

მივლინებულ იქნან ქალაქ მოსკოვში ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში, მსახიობის ოსტატობის კათედრის გამგეებისა და წამყვანი პროფესორ-მასწავლებლების თათბირ-სემინარზე მონაწილეობის მისაღებად, მსახიობის – ოსტატობის კათედრის გამგე გაიოზ ჟორდანიას, ასისტენტი ნანა კვასხვაძე და სპექტაკლებში „ანა ფრანკისა“ და „სამანიშვილის დედინაცვალში“ მონაწილე სტუდენტები (IV კურსი) ა. წ. 12/V-დან 18/V-მდე.

1987 წელი

თეატრის ისტორიის კათედრას სათავეში ჩაუდგა
პროფესორი ვასილ კიკნაძე

ბრძანება №13/2

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის
თანამდებობაზე დამტკიცდეს პროფესორი მირიან აბულაძე

საქმე №5

ბრძანება №8/5

მივლინებულ იქნან ქალაქ ლენინგრადში ვ. ი. იახონტოვის
სახელობის სტუდენტთა მხატვრული კითხვის საკავშირო
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ა. წ. 7/IV-დან
12/IV-მდე III და IV კურსის სამსახიობო და სარეჟისორო
ფაკულტეტის სტუდენტები.

1988 წელი

ბრძანება №8/2

1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ
დაინიშნოს პროფესორი ზაზა აბზიანიძე
2. სცენის ტექნოლოგიისა და თეატრის საქმეთა
ორგანიზაციის კათედრის გამგედ – ლეონიდ ვერნიცკი
3. ფიზკულტურისა და სპორტის კათედრას
ხელმძღვანელობს გელა ბარკალაია (19).

1989 წელი

მარქსიზმ-ლენინიზმის ისტორიის საგანი
შეიცვალა საზოგადოებრივ-მეცნიერებათა
შეცნობის საგნად:

ბრძანება № 43/4

საზოგადოებრივ-მეცნიერებათა კათედრის გამგედ დაინიშნოს
პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე

საქმე №5

ბრძანება №9/5

მივლინებულ იქნან ქალაქ მოსკოვში საერთაშორისო
ახალგაზრდული თეატრების ფესტივალზე მონაწილეობის
მისაღებად სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები.
ა. წ. 9/IV—დან 21/IV-მდე.

ბრძანება №14/5

მივლინებულ იქნან ქალაქ სოფიაში ბულგარეთისა და
საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტებს შორის
შემოქმედებითი მეგობრობის ხელშეკრულების საფუძველზე
სამსახიობო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები, მგზავრობა
მატარებლით.

ბრძანება №17/5

მივლინებულ იქნან ქალაქ კიევში ფესტივალზე
მონაწილეობის მისაღებად სამსახიობო ფაკულტეტის
მუსკომედიის განყოფილების III კურსი.

ბრძანება №20/5

სამსახიობო ფაკულტეტის III და IV კურსის სტუდენტები მივლინებულ იქნან ქალაქ ვილნიუსში სპექტაკლ „სამი და“ დას „ქამუშადის გაჭირვების“ საჩვენებლად ა. წ. 28/IV-დან 5/V-მდე.

ბრძანება №21/5

მივლინებულ იქნან ქალაქ ლენინგრადში სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები

ვ. იახონტოვის სახ. სტუდენტთა მხატვრული კითხვის საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ა. წ. 1/IV-დან 7/IV-მდე.

ბრძანება №42/5

მივლინებული იქნან ქალაქ მოსკოვში ახალგაზრდული სპექტაკლების ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად ა. წ. 3/XII-დან 7/I-მდე სამსახიობო ფაკულტეტის /თოჯინების განყოფილება/ III კურსის, მარიონეტების განყოფილების II კურსისა და კინომცოდნეობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები მგზავრობა თვითმფრინავით.

1990 წელი

საქმე №5

ბრძანება №10/5

მივლინებულ იქნან ქალაქ სოფიაში ბულგარეთისა და საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტებს შორის შემოქმედებითი მეგობრობის ხელშეკრულობის საფუძველზე სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებთან ერთად მათი ხელმძღვანელები, ა. წ. 8/V-დან 22/V-მდე.



ქალაქ მოსკოვში 7-8 მაისი, ქალაქ სოფიაში 8 მაისიდან
22 მაისამდე. მგზავრობა თვითმფრინავით

ბრძანება №20/5

მივლინებულ იქნან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში
ინსტიტუტთან არსებული მარიონეტების ექსპერიმენტალური
თეატრ-სტუდიისა (სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის
და სარეჟისორო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები) და
ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაციის წევრები ა. წ.
6/VI-დან 17/VI-მდე.

ბრძანება № 27/5

მივლინებულ იქნან ქალაქ იარუსლავში თოჯინების
ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად სამსახიობო
ფაკულტეტის თოჯინების განყოფილების II, III და IV კურსის
სტუდენტები (შერჩევით),

ა. წ. 17/X-დან 25/X -მდე (20).

* * *

1991 წელი

სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად გაიხსნა ასპირანტურა-სტაჟირების განყოფილება.

ასე დაიწყო ამ განყოფილების გახსნისათვის მოსამზადებელი საქმიანობა:

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო

თეატრალური ინსტიტუტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

22. 10. 1991 წელი №61/2

ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს 1991 წლის 6 ივნისის №8 დადგენილებისა და საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, ინსტიტუტში შეიქმნა ასპირანტურა „თეატრალური ხელოვნების“/17. 00. 01/ და „კინოხელოვნების სპეციალობით.

1991 წელს თეატრალურ ინსტიტუტს გამოეყო ორი ადგილი „თეატრალური ხელოვნების“ და „კინოხელოვნების“ სპეციალობით წარმოებისაგან მოუწყვეტილ და 1992 წელს

ორი ადგილი იმავე სპეციალობებზე მიზნობრივი ასპირანტურისათვის, რისთვისაც

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- I. ასპირანტურის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობა დაექვემდებაროს სამეცნიერო დარგის პრორექტორს.
- II. შექმნას 1991 წლიდან სპეციალობების მიხედვით ასპირანტურაში მიმღები კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

თეატრალური ხელოვნება
/17. 00. 01./

- 1. ვ. კიკნაძე – თავმჯდომარე, პროფესორი, სასწავლო დარგის პრორექტორი, თეატრის ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე.
- 2. დ. ჯანელიძე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, სამეცნიერო – კვლევითი სექტორის მეცნიერ ხელმძღვანელი.
- 3. ნ. ურუშაძე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.
- 4. ნ. გურაბანიძე – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი, ჟურნალ „ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი.

კინოხელოვნება

- 1. თ. ქვარიანი – თავმჯდომარე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სამეცნიერო დარგის პრორექტორი.
- 2. გ. დოლიძე – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი, კინოფაკულტეტის დეკანი.
- 3. ნ. ამირეჯიბი – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი.



4. ო. თაბუკაშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი,
დოცენტი.

5. ი. კუჭუხიძე – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი,
დოცენტი.

ფილოსოფია

1. რ. ბალანჩივაძე – თავმჯდომარე, ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2. ე. თოფურიძე – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

3. თ. ბოჭორიშვილი – ფილოსოფიურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი.

4. მ. მეგრელიძე – ფილოსოფიის კათედრის უფროსი
მასწავლებელი.

უცხო ენები

1. რ. ენუქიძე – თავმჯდომარე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

2. მ. კილაძე – ზოგადი ფილოლოგიის კათედრის უფროსი
მასწავლებელი.

3. ნ. გერასიმოვა – ზოგადი ფილოლოგიის კათედრის
უფროსი მასწავლებელი.

4. ლ. გორგასალიძე – ზოგადი ფილოლოგიის კათედრის
უფროსი მასწავლებელი.

I. ზემოაღნიშნულ კომისიებს დაევალოს საკანდიდატო
გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფა

II. ასპირანტურის მისაღები გამოცდებისა და საკანდიდატო



გამოცდების მდივანად დაინიშნოს სტუდენტთა სამეცნიერო
საზოგადოების თავმჯდომარე ნინო გოგიშვილი.

საფუძველი: სამეცნიერო დარგის პრორექტორის, თ.
ქვარიანის ბრძანება – პროექტი.

რ ე ქ ტ ო რ ი: პროფესორი გ. ჟორდანია (21).

საქმე №5
ბრძანება №17/5

მივლინებულ იქნან ქალაქ ლენინგრადში ჩერკასოვის
სახელობის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის
ინსტიტუტში თეატრალურ-დეკორატიული ფაკულტეტის III
კურსის XXVI, XIII და XXVII ჯგუფების 5–5 სტუდენტი, ა.
წ. 26/VI-დან 7/VII-მდე.

ბრძანება №19/5

ტელესარეჟისორო ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები
მივლინებულ იქნან ქალაქ ტალინში საწარმოო პრაქტიკაზე
ა. წ. 23/IX–დან 23/X–მდე.

ბრძანება №21/5

მივლინებულ იქნან ქალაქ ვილნიუსში თემატურ
ფესტივალზე „ქართული კინო სკოლა-ოსტატები და შეგირდები“
მონაწილეობის მისაღებად კინოფაკულტეტის პედაგოგები და
სტუდენტები შერჩევით ა. წ. 7/X-დან 10/X–მდე.

1992 წელი.

ბრძანება №44/1

რექტორად დაინიშნა – პროფესორი გაიოზ ჟორდანია

ბრძანება №64/2

მსახიობის ოსტატობის კათედრის ხელმძღვანელობა
დაევალოს რევაზ მირცხულავას

ბრძანება №64/3

დამტკიცდეს სახვითი ხელოვნების კათედრა, კათედრის
გამგის მოვალეობის შესრულება დაევალოს პროფესორ გიორგი
გუნიას.

საქმე №4-5

ბრძანება №4/5

სამსახიობო ფაკულტეტის (მოდერნიზაციის ჯგუფი)
სადიპლომო სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებით ა. წ.
10/VIII-დან 10/IX-მდე მივლინებული იქნას ქალაქ კიშინევში.

1993 წელი

ბრძანება №21

კონკურსის სახით არჩეულ იქნას პირველ
პროექტორად პროფესორი ვასილ კიკნაძე

ბრძანება №8/2

§ 1

საზღვარგარეთის ენისა და ლიტერატურის კათედრის
გამგედ დაინიშნოს ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი

§ 2

კინოს ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგედ – პროფესორი ოლღა თაბუკაშვილი

§ 3

სახვითი ხელოვნების კათედრის გამგედ – პროფესორი გიორგი გუნია (22).

ინსტიტუტის სამეცნიერო სისტემაში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება:

ბრძანება № 5/2

29. 01. 1993 წ. ქ. თბილისი

თეატრალური და კინოხელოვნების ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

თეატრისა და კინოს სამეცნიერო კვლევითი სექტორის, ლაბორატორიის, კაბინეტებისა და სხვა შესაბამისი სამსახურების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნას ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი განყოფილება დაკომპლექტებული შემდეგი სტრუქტურული დანაყოფებით: ა. წ. 16 იანვრიდან.

1. თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო კვლევითი სექტორი.

2. სოციოლოგიური კვლევისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ლაბორატორია.

3. თეატრის ისტორიის კაბინეტი.



4. კინოს ისტორიის კაბინეტი.
5. სამეცნიერო სასწავლო ბიბლიოთეკა/დაფინანსება, კარი №200, §47.
6. სარედაქციო განყოფილება.
7. ასპირანტურა,
8. დოქტურანტურა,
9. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება.
10. მოსწავლეთა თეატრალური აღზრდის პრობლემების შემსწავლელი ლაბორატორია/საზოგადოებრივ საწყისებზე/.
11. პროფესორ – მასწავლებელთა საკონკურსო კომისია.

ბრძანება ძალაში შევიდეს 1993 წლის იანვრიდან.

რ ე ქ ტ ო რ ი: პროფესორი გაიოზ ჟორდანიას (23)

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

01. 12. 1993 წელი № 77/2

ქ. თბილისი

დამტკიცდეს 1993-1994 სასწავლო წლისათვის
ასპირანტურაში და ასისტენტურა – სტაჟირებაზე მისაღები
გამოცდების მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა ს პ ი რ ა ნ ტ უ რ ა

1. კინომცოდნეობა – სპეციალობა
თავმჯდომარე – პრორექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი – გ. დოლიძე
წევრები: ო. თაბუკაშვილი – პროფესორი, კათედრის გამგე



კ. წერეთელი – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი

ი. კუჭუხიძე – დოცენტი, ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი

2. თეატრალური საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა –
სპეციალობა

თავმჯდომარე – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი – ე. გუგუშვილი

წევრები: ლ. ვერნიცკი – კათედრის გამგე, დოცენტი

გ. ყაჯრიშვილი – დოცენტი, ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი

3. უცხო ენა /ინგლისური, გერმანული, ფრანგული/

თავმჯდომარე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
კათედრის გამგე – ნ. ანდრონიკაშვილი

წევრები: მ. კილაძე – უფროსი მასწავლებელი

ნ. გერასიმოვა – უფროსი მასწავლებელი.

ა ს ი ს ტ ე ნ ტ უ რ ა - ს ტ ა უ ი რ ე ბ ა

1. მსახიობის ოსტატობა – სპეციალობა

თავმჯდომარე – პროფესორი, კათედრის გამგე – რ.
მირცხულავა

წევრები: კ. სურმავა – პროფესორი დ. კობახიძე – დოცენტი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

თ. ფალავანდიშვილი – უფროსი მასწავლებელი, დეკანის
მოადგილე

2. დრამის რეჟისურა – სპეციალობა

თავმჯდომარე – პროფესორი, კათედრის გამგე – მ.
თუმანიშვილი

პროფესორი – გ. სარჩიმელიძე.



გამოცდების ორგანიზაცია დაევალოს სწავლულ მდივანს
გ. ყაჯრიშვილს.

საფუძველი: სამეცნიერო დარგის პრორექტორის
წარდგინება

რ ე ქ ტ ო რ ი: პროფესორი გაიოზ ჟორდანი

სტატისტიკური მონაცემების თანახმად საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 39-ს, მათ შორის ასპირანტურის კურსი გაიარა 7 თეატრმცოდნემ, 5 კინომცოდნემ, 10 მსახიობმა, 4 დრამის რეჟისორმა, 2 კინოოპერატორმა, 5 სასცენო მოძრაობის სპეციალისტმა, 4 ტელე-რადიო წამყვანმა – ჟურნალისტმა, 1 კინომენეჯერმა და 1 სცენოგრაფმა. აქედან ხარისხი მოიპოვა მხოლოდ ერთმა ასპირანტმა – თეატრმცოდნემ (23).

* * *

1994 წელი

ბრძანება №11/2

§ 2

თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო სექტორის ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულება დაევალოს გულიკო ჯავაშვილს

1995 წელი

ბრძანება №52/2

§ 1

დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნოს პროფესორი ნოდარ გურაბანიძე

§ 2

მუსიკალური დისციპლინების კათედრის ხელმძღვანელობა კვლავ დაევალოს ზურაბ ანჯაფარიძეს

1996 წელი

ბრძანება №13/2

§ 1

მსახიობის ოსტატობის კათედრის გამგედ დაინიშნოს შალვა გაწერელია

§ 2

დამტკიცდეს სახვითი ხელოვნების კათედრის გამგის თანამდებობაზე ხელახალი ვადით პროფესორი გიორგი გუნია

1997 წელი

ბრძანება №28/2

შეიქმნას მხატვრული კითხვის ოსტატობის კათედრა.

ბრძანება №46/2

პრორექტორად სამეცნიერო დარგში დაინიშნოს პროფესორი ნოდარ გურაბანიძე

1. მეტყველების კათედრის ხელმძღვანელობა დაევალოს ლეილა კაპანაძეს
2. მუსიკალური დისციპლინების კათედრას სათავეში ჩაუდგა გიგა ლორთქიფანიძე
3. დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად აირჩიეს დალი მუმლაძე

1998 წელი

ცვლილება არ შეინიშნება

1999 წელი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №1523
ბრძანება №58/2

რექტორად დაინიშნოს პროფესორი გიგა ლორთქიფანიძე

2000 წელი

ბრძანება №12/6

§ 1

სახვითი ხელოვნების კათედრის გამგედ დაინიშნოს მამია
მაღაზონია

§ 2

მხატვრული კითხვის ოსტატობის კათედრას სათავეში
ჩაუდგეს პროფესორი გურამ საღარაძე

§ 3

საავტორო ტელევიზიის კათედრას – პროფესორი კოტე
მახარაძე

თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები,
ამავე კურსის სამსახიობო ფაკულტეტის 5 სტუდენტთან
ერთად, გაემგზავრნენ ქალაქ კიევში საერთაშორისო ფესტივალზე
„მისტური ბერეზილია“ – ში მონაწილეობის მისაღებად,



შეიქმნას სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის

წესდება:

1. ზოგადი დებულებანი

1.1 შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი არის სტუდენტთა და ასპირანტთა ნებაყოფლობითი, თვითმმართველობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

1.2 კავშირი თავის რიგებში აერთიანებს ამავე ინსტიტუტის სტუდენტებსა და ასპირანტებს

1.3 კავშირი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის კანონმდებლობის, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის და კავშირის წესდების საფუძველზე

1.4 კავშირი არის არაკომერციული იურიდიული პირი სასამართლოში მისი წესდების რეგისტრაციის მომენტიდან. აქვს მისი ბეჭედი, შტამპი, სატიტულო ფურცელი, საანგარიშო და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები

1.5 კავშირი უფლებამოსილია კანონმდებლობის შესაბამისად დაარსოს ფილიალი, წარმომადგენლობები, განყოფილებები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგაერეთ



1.6 კავშირის იურიდიული მისამართია: ქალაქ თბილისი, რუსთაველის გამზირი №19, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი.

2. კავშირის საქმიანობის მიზნები

2.1 კავშირის საქმიანობის მიზნებია:

სტუდენტთა და ასპირანტთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება.

სტუდენტთა და ასპირანტთა შესაძლებლობების გამოვლენის, ცოდნის ღრმად დაუფლებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის ხელისშემწყობი პირობების შექმნა

2.2 საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

სოციალურად დაუცველ სტუდენტთა და ასპირანტთა თანადგომა და მხარდაჭერა.

სტუდენტთა და ასპირანტთა თავისუფალი დროის ოპტიმალურად გამოყენების ორგანიზაცია.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ სხვადასხვა სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, სასწავლო-სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებთან კავშირურთიერთობების დამყარება და განვითარება.

3. კავშირის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

3.1 კავშირს ჰყავს რეგისტრირებული წევრები. კავშირის წევრად ჩაითვლება საფაკულტეტო ორგანიზაციაში აღრიცხვაზე

მყოფი ფიზიკური პირი, რომელიც იხდის საწევრო გადასახადს და მონაწილეობს კავშირის საქმიანობაში. კავშირის წევრად ჩაითვალოს აგრეთვე იურიდიული პირი, რომელიც კავშირის საქმიანობაში მონაწილეობს თავისი წარმომადგენლის (უფლებამოსილი პირის) მეშვეობით.

3.2 კავშირის წევრობა ნებაყოფლობითია.

3.3 ყოველ წევრს უფლება აქვს გავიდეს კავშირიდან. გასვლა ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე.

4. კავშირის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

4.1 კავშირის უმაღლესი ორგანოა კავშირის წევრთა საერთო კრება დასი.

4.2 მორიგ დასს იწვევს გამგეობა.

გამგეობა:

4.10 გამგეობა იკრიბება ერთხელ სასწავლო წლის მანძილზე.

გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის წევრების ხმათა უმრავლესობით.

4.11 კავშირის პრეზიდენტი აირჩევა დასის მიერ ფარული კენჭისყრით ორი წლის ვადით.

4.12 კავშირის პრეზიდენტი:

იწვევს და ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს.

ხელს აწერს გამგეობის გადაწყვეტილებებს.

კორდინაციას უწევს გამგეობის წევრთა მუშაობას.

დასს წარუდგენს ვიცე პრეზიდენტის კანდიდატურას

დასამტკიცებლად.

დასს წარუდგენს ასარჩევად კომიტეტის თავმჯდომარეების კანდიდატურებს.

კავშირის სახელით მონაწილეობს ინსტიტუტის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში.

წარმოადგენს კავშირს ინსტიტუტის დიდ საბჭოში.

უზრუნველყოფს კავშირის დასის და გამგეობის გადაწყვეტილებათა აღსრულებას ნიშნავს პრეზიდენტის აპარატის უფროსს.

ისმენს აპარატის უფროსის ანგარიშს აპარატის მუშაობის შესახებ.

4.13 კავშირის პრეზიდენტი ვალდებულია დასის წინაშე.

5. საფაკულტეტო ორგანიზაციები

5.1 ფაკულტეტზე კავშირის საქმიანობას წარმართავს საფაკულტეტო ორგანიზაცია, რომელიც განისაზღვრება 5-9 კაცისგან.

6. სარევიზიო კომისია

6.1 სარევიზიო კომისია ირჩევა 3 კაცის შემადგენლობით

6.2 სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ირჩევა კომისის პირველივე სხდომაზე

6.3 სარევიზიო კომისია ამოწმებს სახაზინო და საფინანსო დოკუმენტაციას და აბარებს ანგარიშს დასს, აწესებს ზედამხედველობას წინამდებარე წესდების შესრულებაზე, გამგეობას აცნობებს საკუთარ დასკვნებს.

7. კავშირის ქონება

7.1 კავშირის ქონება წარმოადგენს:

საწევრო შენატანებს

სპონსორთა შემოწირულობას

საგამომცემლო საქმიანობის შემოსავალს

8. კავშირის საწარმო-სამეურნეო საქმიანობა

8.1 კავშირს შეუძლია დაარსოს გაზეთი, ჟურნალი, აწარმოოს საგამომცემლო საქმიანობა, მონაწილეობა მიიღოს ტელე რადიო კომპანიის დაარსებაში კანონით დადგენილი წესის მიხედვით

9. კავშირის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და მისი ქონების განაწილების წესი

9.1 კავშირის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2 კავშირის ლიკვიდაცია ხდება დასის გადაწყვეტილებით

9.3 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

10. კავშირის დამფუძნებლები და გამგეობის წევრები

1. თეა კახიანი

2. გიორგი გოდერძიშვილი

3. მარიტა დათუკიშვილი

4. ზვიად შელია

5. თამარ მუქერია
6. შორენა როსტომაშვილი
7. დიმიტრი სარალიძე
8. ლაშა როსტომაშვილი
9. ნატალია ბალაძე

* * *

2001 წელი

ბრძანება №7/1

§ 1

დაარსდეს ლიტერატურული თეატრი – ხელმძღვანელი
გურამ საღარაძე

§ 2

ტელე-ხელოვნების კათედრის გამგედ დაინიშნოს დოცენტი
ზვიად დოლიძე

საქმე №4

ბრძანება №5/4

მოსკოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე
მივლინებულ იქნან დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობის
IV კურსის სტუდენტები სპექტაკლით „ჯულიეტა და რომეო“
ა. წ. 27/IV–დან 9/V–მდე (25).



საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 29/2

დამტკიცდეს ფაკულტეტების სპეციალობებისა და
კვალიფიკაციის ნუსხა:

სამსახიობო ფაკულტეტი

სპეციალობა – მსახიობის ხელოვნების კვალიფიკაცია:

1. დრამისა და კინოს მსახიობის
2. კინომსახიობის
3. მუსიკალური თეატრის მსახიობის
4. ესტრადის მსახიობის
5. თოჯინების თეატრის მსახიობის
6. პანტომიმის თეატრის მსახიობის

სარეჟისორო ფაკულტეტი

სპეციალობა – რეჟისორის კვალიფიკაცია:

1. დრამის რეჟისორის
2. მუსიკალური თეატრის რეჟისორის
3. თოჯინების თეატრის რეჟისორის
4. ბალეტმეისტერის
5. მხატვრული ფილმის რეჟისორის
6. დოკუმენტური ფილმის რეჟისორის
7. სამეცნიერო პოპულარული ფილმის რეჟისორის
8. ანიმაციური ფილმის რეჟისორის

9. სატელევიზიო ვიდეო ფილმის რეჟისორის
10. ტელედადგმების რეჟისორის
11. კლიპების რეჟისორის
12. ტელეგადაცემის რეჟისორის
13. რეჟისორ-ორგანიზატორის
14. რეჟისორ მემონტაჟის
15. დუბლირებისა და აღდგენითი ფილმის რეჟისორი
16. მასობრივი სანახაობის რეჟისორის
17. შოუ /სანახაობის/ ბიზნეს-მენეჯერის

თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი

სპეციალობა – თეატრმცოდნეობის კვალიფიკაცია:

1. თეატრმცოდნის
2. თეატრისა და ტელევიზიის ჟურნალისტის
3. სცენის ტექნოლოგიისა და თეატრის მართვის

სპეციალისტის

სპეციალობა – ხელოვნებათმცოდნეობის კვალიფიკაცია:

1. ხელოვნებათმცოდნეობის
2. ხელოვნების ისტორიის მასწავლებლის

სპეციალობა – დრამატურგიის ხელოვნების კვალიფიკაცია:

1. ლიტერატორის

სპეციალობა – თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის კვალიფიკაცია:

1. თეატრის მსახიობის



კინომცოდნეობის ფაკულტეტი

სპეციალობა – კინომცოდნეობის კვალიფიკაცია:

1. კინომცოდნის
2. კინომცოდნე-ჟურნალისტის
3. ტელე-ჟურნალისტის

საოპერატორო ფაკულტეტი

სპეციალობა – ოპერატორის კვალიფიკაცია:

1. კინო ოპერატორის
2. ტელე – ვიდეო ოპერატორის
3. ხმის რეჟისორ-ოპერატორის

კინო – ტელე ფაკულტეტი

სპეციალობა – კინოსასცენარო:

1. კინოსცენარისტის

სპეციალობა – კინომენეჯერის კვალიფიკაცია:

1. კინომენეჯერის
2. პროდიუსერ-მენეჯერის

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი

სპეციალობა – ჟურნალისტის კვალიფიკაცია:

1. ტელე-რადიო გადაცემის წამყვან ჟურნალისტის

სპეციალობა – ფოტოჟურნალისტიკა და მხატვრულ ფოტოგრაფია კვალიფიკაცია:

1. ფოტოჟურნალისტის

იურიდიული ფაკულტეტი

სპეციალობა – იურისტის კვალიფიკაცია:

1. სამოქალაქო სამართლის იურისტი

კულტურულ საგანმანათლებლო ფაკულტეტი

სპეციალობა – მუზეუმმცოდნის კვალიფიკაცია:

1. მუზეუმმცოდნის
2. სამუზეუმო – საარქივო საქმის სპეციალისტის

სპეციალობა – ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაცია:

1. ტურიზმის კულტურული მომსახურების მენეჯერის
2. საგანმანათლებლო საქმის მენეჯერის

რექტორი: პროფესორი გ. ლორთქიფანიძე (26).

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდგომ ასეთი წესდება შემუშავდა:

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №566

2002 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის უნივერსიტეტად ჩამოყალიბების შესახებ.

1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს



სახელმწიფო ინსტიტუტს ეწოდოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტს ეწოდოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თანდართული წესდება.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტს ეწოდოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს კულტურის სამინისტრომ.

ედუარდ შევარდნაძე
დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით №566



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ე ს დ ე ბ ა

თავი I

იურიდიული სტატუსი და საქმიანობის
სამართლებრივი საფუძვლები

მუხლი I

იურიდიული სტატუსი

1. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი ეროვნული კულტურის, განათლების და მეცნიერების კერაა, რომელიც დაარსდა 1923 წლის 10 ოქტომბერს აკაკი ფაღავას სტუდიის საფუძველზე. 1992 წელს ინსტიტუტს ეწოდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი.

2. უნივერსიტეტის სახელწოდებაა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. უნივერსიტეტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საბანკო ანგარიშები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4. უნივერსიტეტი საკუთარი სახელით განახორციელებს თავის უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

5. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი,

რუსთაველის გამზირი №19, 0108 (38008)

6. უნივერსიტეტის სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

მუხლი 2

უნივერსიტეტის ავტონომიურობა

1. უნივერსიტეტი ავტონომიური დაწესებულებაა.
2. უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე უფლებამოსილია გამოიყენოს და კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგოს მასზე რიცხული ქონება და ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მის გამგებლობას მიკუთვნებული მართვისა და ყველა სხვა საკითხი.
3. უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, განათლებისა და ხელოვნების სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი „განათლების შესახებ“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და წესდებები.

თავი II

მიზნები, საქმიანობის საგანი და უფლებები

მუხლი 3

უნივერსიტეტის მიზნები და საქმიანობა

უნივერსიტეტის ძირითადი მიზნები და საქმიანობაა:

- ა) ქართული თეატრის, კინოს, ტელე-რადიო მაუწყებლობის, კულტურის სხვა საგანმანათლებლო სფეროს სპეციალისტების აღზრდა და მომზადება;



- ბ) სტუდენტის პიროვნელი, კულტურულ-ზნეობრივი და ინტელექტუალური მოთხოვნილებების ჩამოყალიბება;
- გ) საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესებისა და სიმპოზიუმების მოწვევა და ფესტივალების გამართვა;
- დ) სასწავლო – აღმზრდელობითი საქმიანობა;
- ე) სამეცნიერო – კვლევითი და სასწავლო – მეთოდური სამუშაოების შესრულება;
- ვ) სამეცნიერო – საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ზ) თეატრის, კინოს, ხელოვნებისა და განათლების დარგში საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება თავისი კომპეტენციების ფარგლებში;
- თ) მართვის მექანიზმების დანერგვა ამ წესდებით დასახული მიზნების მიღწევისათვის.

მუხლი 4

უნივერსიტეტის უფლებები

უნივერსიტეტს უფლება აქვს:

- ა) თავისი საქმიანობა წარმართოს განათლების სფეროში სახელმწიფო დაკვეთისა და ერთიანი სახელმწიფო ფინანსური ნორმატივების შესაბამისად, რისთვისაც სახელმწიფოსგან იღებს სათანადო საბიუჯეტო დაფინანსებას;
- ბ) აწარმოოს ფასიანი წესით სწავლება სახელმწიფო სექტორის სასწავლო გეგმებითა და სასწავლო პროგრამებით, მოიწვიოს უნივერსიტეტის თანამშრომლები;
- გ) განსაზღვროს თავისი საქმიანობის (შემოქმედებით-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა) პრიორიტეტები;
- დ) განსაზღვროს სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი და სპეციალობები დასამტკიცებლად წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს;
- ე) განიხილოს მაგისტრატურის, ასისტენტურა-სტაჟირებისა და ასპირანტურაში მიღების გეგმების პროექტები და

დადგენილი წესით წარადგინოს დასამტკიცებლად;

ვ) მიანიჭოს სპეციალისტს სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) შეიმუშაოს წინადადებები სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების ცვლილებების შესახებ და დადგენილი წესით წარადგინოს დასამტკიცებლად;

თ) დაადგინოს პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერთანამშრომელთა სასწავლო სამეცნიერო დატვირთვის მოცულობა, რაც აისახება შრომით ხელშეკრულებაში

ი) გამართოს მოლაპარაკება უცხოეთის ანალოგიურ სასწავლებლებთან სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სტაჟირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

კ) გახდეს უმაღლეს სასწავლებელთა ნებისმიერი გაერთიანების წევრი;

ლ) მოაწყოს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები და სხვა;

მ) გაუწიოს სასწავლო-მეთოდური დახმარება საქართველოს თეატრის, კინოსა და კულტურის სხვა სასწავლებლებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებს;

ნ) ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით შეადგინოს საშტატო ნუსხა;

ო) დადგენილი წესების დაცვით, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების შეძენა, გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა;

პ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად დამოუკიდებლად განკარგოს ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მის გამგებლობაში არსებული სხვა საკითხები (სამეურნეო ხასიათის შეკვეთები, შესყიდვები და სხვა);

ჟ) შეიძინოს სწავლებისათვის აუცილებელი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და სრულყოს სწავლება მისი



სასწავლო პროცესში დანერგვით;

რ) არასაბიუჯეტო ფინანსური რესურსების არსებობის შემთხვევაში დააწესოს სახელმწიფო სტიპენდიებისა და ხელფასების დანამატები, გასცეს პრემიები, ჯილდოები, ფინანსური დახმარება;

ს) შექმნას სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდები, რომელსაც განკარგავს დამოუკიდებლად.

თავი III

სასწავლო პროცესი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, სწავლების ენა და ფორმები

მუხლი 5

სასწავლო პროცესი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარდს.

2. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარიმართება დადგენილი წესით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული სასწავლო პროგრამების მიხედვით.

3. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხური – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ასპირანტურა-სტაჟირება, ასპირანტურა.

4. სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის ფორმები დგინდება შინაგანაწესით (შემდგომში – შინაგანაწესი), რომელსაც სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს თანხმობის საფუძველზე ამტკიცებს რექტორი.

5. შინაგანაწესი გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან. იგი ადგენს უნივერსიტეტის თანამშრომელთა, მათ შორის პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრო-

მელთა მუშაობის ნორმებს, სტუდენტთა მოძრაობის ტერიუმებს, სწავლის პირობებსა და სწავლების (მეცადინეობათა სახე, ყოველდღიური საათების რაოდენობა, სასწავლო გეგმით განსაზღვრული თანმიმდევრობა, მეცადინეობათა შორის შესვენების ხანგძლივობა და გრაფიკი, სასწავლო პროცესის შიდა კონტროლის წესი და განხორციელების ფორმები. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა სასწავლო წლის განმავლობაში დაუშვებელია.

მუხლი 6

სწავლების ენა და ფორმები

1. უნივერსიტეტის სწავლების ენა არის ქართული.
2. უნივერსიტეტში განათლების მიღება შეიძლება სწავლების დასწრებულ და ზოგიერთ სპეციალობაზე დაუსწრებელი ფორმით.
3. უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს უფასო (სახელმწიფო დაკვეთა) და ფასიანი სწავლების წესით.
4. უნივერსიტეტში მეცადინეობის სახეებია: ლექცია, სემინარი, პრაქტიკა, საკურსო და სადიპლომო მუშაობა, კონსულტაცია, ინდივიდუალური მუშაობა და სხვა.
5. უნივერსიტეტში სახელმწიფო დაკვეთით განსაზღვრული ადგილების დაკავება ხდება კონკურსით, რომლის პირობებს და მოწყობის წესს ადგენს უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების საფუძველზე. საგამოცდო კომისიების შედგენის პრინციპს განსაზღვრავს თავად უნივერსიტეტი, სპეციფიკის გათვალისწინებით.

თავი IV უნივერსიტეტის სტრუქტურა

მუხლი 7


უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია: ფაკულტეტი, დეკანატი, კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სასწავლო-მეთოდური სამმართველო, განყოფილება, ბიბლიოთეკა, სასწავლო თეატრი, საფინანსო სამსახური, ბუღალტერია, სამეურნეო და დამხმარე სამსახურები. სტრუქტურული ერთეულების მუშაობის წესი და უფლება— მოვალეობანი განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით, თანმდებლობრივი ინსტრუქციებითა და სპეციალური დებულებებით, რომლებსაც რექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო.

2. უნივერსიტეტის სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებენ მათთვის შინაგანაწესით დადგენილ კომპეტენციათა ფარგლებში ერთმანეთთან კოორდინებული მუშაობის გზით.

3. სასწავლო მეთოდური სამმართველო განსაზღვრავს პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვის შესაბამისობას, პედაგოგთა მოწვევის აუცილებლობას, აწარმოებს კათედრებთან კოორდინაციას და დატვირთვის ნორმების შესრულების კონტროლს, სასწავლო-მეთოდური ცვლილებების პროცესს სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოზე დასამტკიცებლად.

4. სტრუქტურულ ერთეულებს უფლება აქვთ მიმართონ რეკომენდაციებითა და წინადადებებით რექტორსა და სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს, მიიღონ მონაწილეობა მათ განხილვაში.



თავი V
უნივერსიტეტის მართვა, მართვის ორგანოების
უფლებამოსილებანი

მუხლი 8

უნივერსიტეტის მართვა

უნივერსიტეტის მართვას ახორციელებენ:

- ა) სამეცნიერო – სამხატვრო საბჭო;
- ბ) რექტორი
- გ) ადმინისტრაცია – რექტორი და დეკანატები.

მუხლი 9

რექტორი

1. რექტორი უნივერსიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირია.

2. „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნივერსიტეტის რექტორს ფარული კენჭისყრით ირჩევს სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს განათლების მინისტრის წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ამტკიცებს საქარ თველოს პრეზიდენტი.

3. რექტორი აირჩევა უნივერსიტეტის სრული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგძლივობის ვადით-ექვსი წლით.

4. რექტორი პირადი პასუხისმგებლობის ფარგლებში, დაკისრებული ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით ასრულებს სახელმწიფო წარმომადგენლობის ფუნქციებს მისადმი რწმუნებულ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში.

5. რექტორის არჩევნებს აწყობს უნივერსიტეტის სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო. რექტორების კანდიდატი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის ან წოდების მქონე ხელოვანი, მეცნიერი, რომელსაც

აქვს უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი.

6. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების გადაწყვეტილება გამოაქვს სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს. საბჭოს ამავე სხდომაზე ღია კენჭისყრით აირჩევა საორგანიზაციო კომისია, რომელიც შემდგომში წარმართავს რექტორის არჩევნების პროცესს. რექტორი განაგრძნობს თავისი მოვალეობის შესრულებას საქართველოს პრეზიდენტის მიერ ახალი რექტორის დამტკიცებამდე

7. რექტორის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვთ უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და ამ თანამდებობის დაკავების მსურველ სხვა პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესდების მე-9 მუხლის მე-ნ პუნქტით დადგენილ პირობებს. არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებსა და წარდგინების თანდართული საბუთებით საორგანიზაციო კომისია იღებს კონკურსის გამოცხადების დღიდან ორი კვირის განმავლობაში.

8. საორგანიზაციო კომისია საბუთების მიღების შეწყვეტის დღიდან ერთ კვირაში განიხილავს შემოსულ განცხადებებს და გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილება კანდიდატის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ (საორგანიზაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით). არჩევნებში მონაწილეობისათვის დაშვებულ კანდიდატთა მოტივირებული გადაწყვეტილება კანდიდატის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ (საორგანიზაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით). არჩევნებში მონაწილეობისათვის დაშვებულ კანდიდატთა სია შეიტანება ფარული კენჭისყრის ბიულეტენში განცხადების შემოტანის დროის მიხედვით.

9. სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს მიერ რექტორის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ის მონაწილეობით. რექტორი არჩეულად



ითვლება, თუ მისმა კანდიდატურამ მოიპოვა ხმათა უმრავლესობა, ანუ საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობით ნახევარზე მეტი (50 + 1 პროცენტი).

10. იმ შემთხვევაში, თუ კენჭს იყრიდა ორზე მეტი კანდიდატი და არც ერთი მათგანი არ იქნა არჩეული, საბჭოს იმავე სხდომაზე იმართება ხელახალი ფარული კენჭისყრა იმ ორი კანდიდატისათვის, რომელთაც პირველ ტურში მიიღეს ხმების უმრავლესობა.

11. თუ კენჭს იყრიდა 1 ან 2 კანდიდატი და ვერც ერთმა მიიღო არჩევისათვის საკმარისი ხმების რაოდენობა, ერთ თვეში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

12. ხმის დამთვლელ კომისიას სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო ირჩევს ღია კენჭისყრით. კომისიის მუშაობის შინაგანაწესს ადგენს საორგანიზაციო კომისია. არჩევნების შედეგებს ამტკიცებს სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით.

13. ფარული კენჭისყრა იმართება ბიულეტენების მეშვეობით. ბიულეტენში შეტანილი უნდა იქნეს ყველა კანდიდატის გვარი. საბჭოს წევრი ხმას აძლევს მხოლოდ ერთ კანდიდატს. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენები ჩაითვლება ბათილად.

14. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ წესდებით რექტორი უნივერსიტეტის სახელით:

ა) ხელმძღვანელობს სამეცნიერო – სამხატვრო საბჭოს და რექტორატს;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს ხელშეკრულებებს, ხსნის ანგარიშებს ბანკში;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

დ) ამტკიცებს აბიტურიენტთა მიმღებ საგამოცდო კომისიას, საგნობრივი კომისიებისა და ტექნიკური სამდივნოს შემადგენლობას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განაგებს უნივერსიტეტის ქონებას;

ვ) განსაზღვრავს საწარმოო და სოციალური ფონდების გამოყენების მიმართულებებს;

ზ) ამყარებს ურთიერთობას საქართველოსა და უცხოეთის სხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

თ) სამეცნიერო – სამხატვრო საბჭოს თანხმობის საფუძველზე ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს;

ი) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით, განსაზღვრული ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს პედაგოგიურ პერსონალსა და სხვა მუშაკებს, იღებს წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის ზომებს;

კ) იწვევს ცნობილ კვალიფიციურ პროფესორ – მასწავლებლებს;

ლ) ასარჩევად წარადგენს პრორექტორების კანდიდატურებს სამეცნიერო – სამხატვრო საბჭოზე;

მ) განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრორექტორების კომპეტენციის ფარგლებს;

ნ) განსაკუთრებულ შემთხვევაში შეღავათს უკეთებს ფასიანი განყოფილების სტუდენტებს სწავლის ქირის გადახდაში.

15. რექტორი სამეცნიერო – სამხატვრო საბჭოსთან კონსულტაციების საფუძველზე უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის წესდების პროექტი;

ბ) შეიმუშაოს და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს წესდებაში ცვლილებები;

გ) სამეცნიერო – სამხატვრო საბჭოზე დასვას საკითხი



უნივერსიტეტის სპეციალობების შემოღებისა და გაუქმების შესახებ;

დ) განსაზღვროს და დაამტკიცოს სტუდენტთა (მათ შორის უცხოელ სტუდენტთა) მიღებისა და ჩარიცხვის ფორმები და წესი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) დაამტკიცოს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით.

16. რექტორი ანგარიშვალდებულია სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოსა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წინაშე უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-საფინანსო-ეკონომიურ და სოციალურ-კულტურული საქმიანობისათვის.

17. რექტორს უფლებამოსილება ვადაძდე შეიძლება შეუწყდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით.

18. რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პრორექტორი სასწავლო დარგში.

მუხლი 10

პრორექტორი

1. პრორექტორი რექტორის წარდგინებით სამეცნიერო – სამხატვრო საბჭოს მიერ არჩეულად ითვლება, თუ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი (50+1 პროცენტი) პრორექტორი აირჩევა სრული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგძლივობით – ექვსი წლით.

2. პრორექტორს სასწავლო დარგში ევალება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისა და შემოქმედებითი მუშაობასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის ხელმძღვანელობა. რექტორის შვებულების, მივლინების, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით არყოფნის პერიოდში უნივერსიტეტის საერთო ხელმძღვანელობა.

3. სამეცნიერო დარგის პრორექტორს ევალება პროფესორ – მასწავლებელთა, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების,



სამეცნიერო – კვლევითი ცენტრის, სასწავლო – მეთოდური სამმართველოს, კრებულის, სახელმძღვანელოების მომზადებისა და გამოცემის ხელმძღვანელობა, ბიბლიოთეკის, სასწავლო ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სამეცნიერო განყოფილებათა ხელმძღვანელობა და კონტროლი.

4. უნივერსიტეტის პრორექტორს კინო-ტელე დარგში ევალება კინოფაკულტეტის, საერთაშორისო ასოციაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის კოორდინირება.

5. უნივერსიტეტის პრორექტორს სამეურნეო-ადმინისტრაციულ დარგში ევალება შესაბამისი ტექნიკური, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა.

მუხლი 11

სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო

1. სამეცნიერო სამხატვრო საბჭო უნივერსიტეტის კოლექტიური მართვის უმაღლესი ორგანოა, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულოა ყველასათვის. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: რექტორი, (საბჭოს თავჯდომარე), პრორექტორები, ფაკულტეტების დეკანები, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, კათედრების გამგეები, სწავლული მდივანი, სტუდენტთა წარმომადგენელი, აგრეთვე სხვა პირები რექტორის რეკომენდაციით. სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილების ვადა სამი წელია.

2. სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება და შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

3. საბჭოს სწავლულ მდივანს რექტორის წარდგინებით ირჩევს საბჭო.

4. საბჭოს ქვორუმია წევრთა ორი მესამედი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით (გარდა თანამდებობაზე არჩევნებისა, რომელიც ყოველთვის ფარულია).



5. სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაშია რექტორის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

6. სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების საკითხის დასმის უფლება აქვს რექტორს ან საბჭოს წევრთა მესამედს (წერილობითი განცხადებით რექტორის სახელზე).

7. საბჭოს ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავჯდომარე და სწავლული მდივანი.

8. მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო:

ა) წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო საქმიანობას;

ბ) განიხილავს სტუდენტებისათვის სახელობითი სტიპენდიების დანიშვნის საკითხს;

გ) იხილავს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, სასწავლო თეატრის წესდებას;

დ) სვამს ფილიალების, ფაკულტეტების, კათედრების, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სასწავლო-მეთოდური სამმართველოს, ლაბორატორიების, კოლეჯების, ლიცეუმებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან გაუქმების საკითხს;

ე) შეიძუშავებს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განმსაზღვრელ რეგლამენტებს;

ვ) ირჩევს რექტორის მიერ წარდგენილ პრორექტორთა კანდიდატურებს;

ზ) განიხილავს სწავლების ფორმებს, აბიტურიენტთა მიღების წესს, რეკომენდაციებს მისაღებ კონტიგენტთან დაკავშირებით;

თ) განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო გეგმებისა და მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ;

ი) რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტის კურსდა-

მთავრებულებს მაგისტრატურაში, ასპირანტურასა და ასისტენტურაში ჩასარიცხად;

კ) აჯამებს პედაგოგიურ, საშემსრულებლო და სასწავლო პრაქტიკის წლის შედეგებს;

ლ) განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო-სამხატვრო მუშაობის გეგმების შესახებ;

მ) ისმენს და ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ანგარიშებს;

ნ) განიხილავს სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შექმნისა და გამოცემის საკითხებს;

ო) ამტკიცებს სადისერტაციო თემებს;

პ) განიხილავს და ირჩევს პროფესორ-მასწავლებლებს თანამდებობაზე მოქმედი დებულების შესაბამისად;

ჟ) წყვეტს საუნივერსიტეტო, ქვეყნის რეგიონალური საერთაშორისო კონკურსების, სიმპოზიუმების, კონფერენციების მოწყობის საკითხებს;

რ) ნიშნავს რექტორის არჩევნებს.

ს) საპატიო დოქტორად ირჩევს მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ უცხოელ სპეციალისტებს;

ტ) განიხილავს წესდების პროექტს და მასში შესატან ცვლილებებს შესაბამის ორგანოებში დასამტკიცებლად წარდგენამდე;

უ) ახორციელებს კანონმდებლობათა და ამ წესდებით დადგენილ სხვა საქმიანობას;

ფ) განიხილავს უნივერსიტეტის საფინანსო საქმიანობის გეგმას (ბიუჯეტს) და ამტკიცებს მის შესრულებას;

ქ) წყვეტს სწავლის დაწყებისა და დამთავრების საკითხებს;

9. სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს თავჯდომარე აკონტროლებს საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას:

ა) ამტკიცებს წინა საბჭოს სხდომის ოქმს;

ბ) იწვევს საბჭოს სხდომებს, რომელიც, როგორც წესი, მოიწვევა თვეში ერთხელ, ხოლო საგანგებო შემთხვევაში – რიგგარეშე, საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით ან რექტორის გადაწყვეტილებით.

მუხლი 12

რექტორატი

1 რექტორატი არის უნივერსიტეტის აღმასრულებელი ორგანო, რომლის შემადგენლობას ადგენს და ამტკიცებს რექტორი.

2 რექტორატში შედიან: რექტორი, პრორექტორები, ფაკულტეტების დეკანები, აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები რექტორის გადაწყვეტილებით.

3 რექტორატი სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოსთან შეთანხმებით:

ა) უზრუნველყოფს აკადემიური პროცესის წარმართვას არსებული წესით, დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების შესაბამისად;

ბ) ადგენს სხვადასხვა სახის ხარჯთა ნუსხების პროექტს;

გ) ადგენს სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის პირობებსა და წესს სტუდენტთათვის საბიუჯეტო დაფინანსებიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესით;


დ) რექტორის წინაშე სვამს უნივერსიტეტის ქონების იჯარისა და სხვა სამეურნეო საკითხებს;

ე) შუამდგომლობს სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს წინაშე, რათა განსაზღვრული წესითა და პირობებით არასაბიუჯეტო ფინანსური რესურსებიდან დაინიშნოს სახელობითი სტიპენდიები და ხელფასების დანამატები, გასცეს პრემიები, ჯილდოები, ფინანსური დახმარება.

4. რექტორატი იკრიბება თვეში ორჯერ.

მუხლი 13 ფაკულტეტი

1. ფაკულტეტი უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ქვედანაყოფია.
2. ფაკულტეტზე ხორციელდება სტუდენტების, მაგისტრების, ასპირანტებისა და ასისტენტ-სტაჟიორების მომზადება, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება, ფაკულტეტში შემაჯავლი კათედრების სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის კოორდინირება.
3. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან: დეკანი, მოადგილე, კათედრათა გამგეები, კათედრის მიერ რეკომენდირებული წამყვანი სპეციალისტები.
4. ფაკულტეტის საბჭო:
 - ა) განიხილავს სახელობით სტიპენდიებზე წარსადგენ კანდიდატებს, გასარიცხ სტუდენტთა სიას, რაც ფორმდება რექტორის ბრძანებით;
 - ბ) განსაზღვრავს სპეციალობების მიხედვით მისაღებ კონტინგენტს მისთვის გამოყოფილი ადგილების ფარგლებში;
 - გ) იხილავს სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებით საკითხებს;
 - დ) რეკომენდაციას უწევს დეკანის, კათედრის გამგის კანდიდატურებს სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოზე ასარჩევად;
 - ე) განიხილავს კათედრების, განყოფილებების, ლაბორატორიების დახურვის ან გახსნის საკითხს და წარადგენს ინსტიტუტის სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოზე დასამტკიცებლად;
 - ვ) განიხილავს მაგისტრატურაში, ასპირანტურაში და ასისტენტურა-სტაჟირებით მისაღები კანდიდატების საკითხს;
 - ზ) რეკომენდაციას უწევს სამეცნიერო მივლინებაში, ფესტივალებზე, კონკურსებისა და სხვა ფორმების მნიშვნელოვან ღონისძიებებზე გასაგზავნ კანდიდატურებს;



- თ) ისმენს და იხილავს სტუდენტთა სწავლების ხარისხს დაკავშირებულ საკითხებს;
- ი) ისმენს დეკანატების ანგარიშებს სესიების შედეგების შესახებ;
- კ) ირჩევს თავჯდომარეს.

მუხლი 14 დეკანი

დეკანი არის უნივერსიტეტის მმართველობითი სტრუქტურის ნაწილი,

რექტორის წარდგინებით სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო დეკანად ირჩევს წამყვან პროფესორ-მასწავლებელს მონაწილეთა ხმების უმრავლესობის საფუძველზე სრული საგანმანათლებლო პერიოდით – ექვსი წლით.

1. დეკანი წარმართავს და ხელმძღვანელობს შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესს.

2. დეკანს ევალება:

- ა) სტიპენდიების დანიშვნა, რაც ფორმდება რექტორის ბრძანებით;
- ბ) სახელობითი სტიპენდიების კანდიდატურის შერჩევა სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოზე დასამტკიცებლად.
- გ) სტუდენტთა სასწავლო და სასწავლოშემოქმედებითი პრაქტიკის წარმართვა;
- დ) სასწავლო და ჩათვლა, გამოცდების ცხრილების შედგენა და მისი შესრულების კონტროლი;
- ე) სტუდენტთა გადაყვანა კურსიდან კურსზე, აკადემიური შვებულებების მიცემა, რაც ფორმდება ბრძანებით;
- ვ) სტუდენტთა დაშვება სახელმწიფო საატესტაციო გამოცდებსა და სადიპლო ნაშრომების დაცვაზე;
- ზ) სტუდენტთა კონტინგენტის მოძრაობის კონტროლი;
- თ) სტუდენტთა სოციალური მდგომარეობის შესწავლა და დახმარება;

- ი) შესაბამის კათედრასთან ერთად სპექტაკლებისა და ფილმების გრაფიკის შედგენა;
- კ) ჩათვლა-გამოცდების ვადების შეცვლისა და სხვა დისციპლინური საკითხების რეგულირება.
- ლ) პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ლექციებზე დასწრების კონტროლი
- მ) ჯგუფხელების ხელმძღვანელობა;
- ნ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და საერთო მონაცემების აღრიცხვა.

მუხლი 15 კათედრა

1. კათედრა უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულია, რომელიც აერთიანებს პროფილურ და მონათესავე დისციპლინების პროფესორებს, დოცენტებს, უფროს მასწავლებლებს, მასწავლებლებს, ასისტენტებს, მეცნიერ-მუშაკებს.

კათედრა:

- ა) წარმართავს მის წევრთა სასწავლო, სამეცნიერო საქმიანობას;
- ბ) მონაწილეობს სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდურ, მითითებების, მონოგრაფიების, კრებულების, ლექსიკონების, ენციკლოპედიური ცნობარების მომზადებაში.
- გ) უნივერსიტეტის ან ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს კანდიდატებს პროფესორის, დოცენტისა და უფროსი მასწავლებელის თანამდებობის დასაკავებლად;
- დ) საბჭოზე წარადგენს პედაგოგებს პროფესორისა და დოცენტის წოდების მისანიჭებლად;
- ე) სასწავლო სამმართველოსთან ერთად განსაზღვრავს პედაგოგთა მოწვევის აუცილებლობის საკითხს;

ვ) კათედრა ამოწმებს ახალმოწვეული პედაგოგის საწვინებელ ლექციას;

ზ) იზილავს და ამტკიცებს პედაგოგთა წლიურ შრომებს;

თ) ხელმძღვანელობს მაგისტრთა, ასპირანტთა და მაძიებელთა მომზადებას, სადიპლომო შრომების მომზადებას და თემატიკის დამტკიცებას;

ი) აპრობირებას უწევს სადისერტაციო შრომებს.

2. კათედრის პროფესიული რეკომენდაციები საფუძველად ედება რექტორის საკადრო პოლიტიკას.

3. კათედრის შემადგენლობაში შედიან: პროფესორები, დოცენტები, უფროსი მასწავლებლები, კონცერტმეისტერები, მასწავლებლები, მოწვეული მეცნიერი თანამშრომლები, ასისტენტები და ლაბორანტები.

4. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომლის განათლება დადასტურებულია შესაბამისი პროფესიისა და ცენზის აღმნიშვნელი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერტიფიკატით. აქვს შესაბამისი კათედრის რეკომენდაცია.

5. სხვადასხვა სპეციალობაზე სასწავლო პროცესის წარმართვისათვის უნივერსიტეტში არსებობს კონცერტმეისტერის თანამდებობა, რომელიც სტატუსით და შრომის ანაზღაურებით უთანაბრდება უფროს მასწავლებელს.

6. კათედრას სათავეში უდგას გამგე. პროფესორი, ან ცალკეულ შემთხვევაში მეცნიერებათა დოქტორი, კანდიდატი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა კათედრის მუშაობისათვის. კათედრის გამგის უფლებამოსილების ვადა ექვსი წელია.

7. კათედრის გამგის, კათედრის შემადგენლობაში შემავალი პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერი თანამშრომლების, აგრეთვე კონცერტმეისტერების სამუშაოზე მიღება-გათავისუფლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესდებით, სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს მიერ დადგენილი წესისა და მუშაკთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 16

სასწავლო-მეთოდური მუშაობა

1. სასწავლო მეთოდური მუშაობა მოიცავს შემდეგ სახეებს: ლექცია, ინდივიდუალური მეცადინეობა, რეპეტიცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა, შემოქმედებითი პრაქტიკა, საკურსო სამუშაო, კონსულტაცია, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, სადიპლომო შრომა.

2. უნივერსიტეტში სტუდენტთა შემოქმედებითი პრაქტიკა ხორციელდება კათედრის მიერ დამტკიცებული პროგრამით.

3. სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისაგან. თითოეული სემესტრი მთავრდება საგამოცდო სესიით. სასწავლო მეცადინეობა მიმდინარეობს სასწავლო ცხრილის მიხედვით, რომელიც მთელი სემესტრისათვის დგება. დაუსწრებელი სწავლების სასწავლო წელი განისაზღვრება სასწავლო გეგმით. საგამოცდო სესიები დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის ეწყობა ორჯერ. სტუდენტებისათვის არდადეგები დაწესებულია წელიწადში ორჯერ. არდადეგების ვადა და ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო გეგმით სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 17

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

1. დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი უნივერსიტეტის სტრუქტურული ნაწილია.

მისი მიზანია:

ა) აწარმოოს მეცნიერული კვლევა-ძიება და ხელი შეუწყოს მისი შედეგების პრაქტიკაში დანერგვას;

ბ) მეცნიერ-მუშაკებმა სრულყოთ თავიანთი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება. ამასთანავე, პროფესორებმა მოამზადონ სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები;

გ) დაეხმარონ სტუდენტებს დამოუკიდებელ მუშაობაში,



უხელმძღვანელონ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით
საქმიანობას;

დ) მოამზადონ გამოსაცემად:

– შრომები თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის
პრობლემების შესახებ;

– კრებული თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი
პროფილით.

2. უნივერსიტეტში დაწესებულია მეცნიერ-მუშაკთა
თანამდებობები: მთავარი მეცნიერი-მუშაკი, წამყვანი მეცნიერი-
მუშაკი, უფროსი მეცნიერი-მუშაკი, მეცნიერი-მუშაკი და უმცროსი
მეცნიერი-მუშაკი.

3. უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებსა და
მეცნიერ მუშაკებს აქვთ შიდასაინსტიტუციო შეთავსების
უფლება.

4. პროფესორს, დოცენტს, რომელიც წარმატებით ეწევა
სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, შეუძლია მონოგრაფიის,
სახელმძღვანელოს დასამთავრებლად აიღოს შემოქმედებითი
შვებულება ერთ წლამდე, აგრეთვე დროებით გადავიდეს მეცნიერი-
მუშაკის თანამდებობაზე.

მუხლი 18

სასწავლო თეატრი

1. სასწავლო თეატრი არის უნივერსიტეტის სტრუ-
ქტურული ქვედანაყოფი, რომელიც მუშაობს ამ თეატრის
წესდების შესაბამისად.

2. სასწავლო თეატრისათვის სავალდებულოა რექტო-
რატის გადაწყვეტილება.

3. სასწავლო თეატრის მიზნებია:

ა) უხელმძღვანელოს სტუდენტების საკურსო და სადი-
პლომო სპექტაკლების გამოშვებას დადგენილი გრაფიკების
შესაბამისად.

ბ) სასწავლო, სადიპლომო და კურსდამთავრებულთა

ფილმების დემონსტრირების შეხვედრების, ფესტივალების
ორგანიზება.

4. სასწავლო თეატრში საკურსო და სადიპლომო
სპექტაკლების მომზადების დაფინანსება ხდება თეატრისათვის
გამოყოფილი ხარჯთა ნუსხის საფუძველზე.

5. თეატრს ჰყავს დირექტორი, რომელსაც რექტორის
წარდგინებით ამტკიცებს სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო.

თავი VI სტუდენტობა

მუხლი 19 სტუდენტობა

1. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლის
უფლებით სარგებლობს საშუალო და საშუალო პროფესული
განათლების მქონე პირი (მათ შორის უცხოელი), მიუხედავად
მისი ეროვნებისა, რელიგიური და პოლიტიკური მრწამსისა,
რომელიც გაიმარჯვებს კონკურსში.

2. უნივერსიტეტში მიღება ხდება საქართველოს
განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესების
შესაბამისად. მიმღები კომისია განსაზღვრავს შემსვლელის
შემოქმედებითი გამოცდების სპეციფიკურ თავისებურებას.
უნივერსიტეტში სახელმწიფო სექტორზე სწავლა უფასოა.

3. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს უნივერსიტეტის კაბინეტებით,
აუდიტორიებით, სამკითხველო დარბაზებითა და სხვა სასწავლო
და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებით, აგრეთვე სპორტული
ინვეტარითა და სხვა მოწყობილობებით;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო დისციპლინების
სრულყოფაში, სტუდენტთა სწავლებასა და ყოფა ცხოვრებასთან
დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში.

4. სტუდენტი მოვალეა:

ა) სისტემატურად და ღრმად ეუფლებოდეს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ ჩვევებს არჩეული სპეციალობის მიხედვით, იმაღლებდეს შემოქმედებით, მეცნიერულ და კულტურულ დონეს;

ბ) ესწრებოდეს სასწავლო მეცადინეობებს, დადგენილ ვადებში ასრულებდეს სასწავლო გეგმით და სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ ყველა სახის დავალებას;

გ) იცავდეს ტრადიციებს, მაღალი მორალის პრინციპებს;

დ) ასრულებდეს ინსტიტუტის შინაგანაწესის მოთხოვნებს

5. აკადემიური წარმატებისათვის, საზოგადოებრივ საქმიანობასა და სამეცნიერო-კვლევით

მუშაობაში. აქტური მონაწილეობისათვის სტუდენტთა წახალისება ხდება სხვადასხვა ფორმით.

6. სასწავლო დისციპლინის, შინაგანაწესის მოთხოვნებისა და საერთო ცხოვრების წესების დარღვევისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს შინაგანაწესით გათვალისწინებული ზომები.

7. სტუდენტს, რომელიც ჩააბარებს სახელმწიფო საატესტაციო გამოცდებს, დაიცავს სადიპლომო შრომას, სახელმწიფო საატესტაციო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით ენიჭება კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად და ეძლევა უნივერსიტეტის დამთავრების სახელმწიფო სერტიფიკატი (დიპლომი).

თავი VII

პროფესორთა საბჭო

მუხლი 20

პროფესორთა საბჭო

უნივერსიტეტში მოქმედებს ხელოვნების დარგში სამეცნიერო - პედაგოგიური წოდებების მიმნიჭებელი

პროფესორთა საბჭო, რომლის მუშაობა წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.

თავი VIII

უნივერსიტეტის მუშაკთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 21

მუშაკთა უფლება-მოვალეობანი

1. უნივერსიტეტის მუშაკთა-მოვალეობანი და უფლებები, შესასრულებელი სამუშაო, შრომის ანაზღაურების და სამსახურის ვადა განისაზღვრება ინსტიტუტის შინაგანაწესით და მუშაკთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. უნივერსიტეტის მუშაკს უფლება აქვს შინაგანაწესითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა ინსტიტუტის მართვაში.

3. უნივერსიტეტის მუშაკი ვალდებულია:

ა) შეასრულოს უნივერსიტეტის შინაგანაწესი და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;

ბ) დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.

4. უნივერსიტეტის ყველა მუშაკი თანაბრად სარგებლობს მათთვის კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით და მოქმედებს შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმებით.

თავი IX

ბიბლიოთეკა

მუხლი 22

ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა:

ა) უზრუნველყოფს სათანადო სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურითა და საინფორმაციო მასალით სასწავლო პროცესის და სამეცნიერო - კვლევით საქმიანობას;



- ბ) ემსახურება მკითხველს;
- გ) აღრიცხავს შემოსულ ლიტერატურას, ადგენს კატალოგს;
- დ) იცავს და ამდიდრებს ლიტერატურულ ფონდს;
- ე) ეხმარება პროფესორ-მასწავლებლებს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკიდან მნიშვნელოვანი წიგნების მიღებაში;
- ზ) ქმნის პროფილურ ფონდებს.

თავი X

უნივერსიტეტის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება და კონტროლი

მუხლი 23

უნივერსიტეტის ქონება

უნივერსიტეტს დადგენილი წესით უფლება აქვს იჯარით გასცეს მისთვის მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემული ის ქონება, რომელიც აღემატება საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებისათვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს და მიღებული შემოსავლები გამოიყენოს უნივერსიტეტის მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, ხოლო მისთვის ფლობელობითა და სარგებლობის უფლებით გადაცემული სახელმწიფო ქონება დაიტვირთოს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით; გამოიყენოს ქონება კანონით დაშვებული სხვა ფორმით.

მუხლი 24

ფინანსური სახსრები

1. უნივერსიტეტის ფინანსური სახსრებია:
 - ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
 - ბ) ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოსა და

მომსახურების შესრულებით მიღებული შემოსავალი;

გ) შემოწირულობები, გრანტები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური სახსრებიდან ინსტიტუტის განკარგულებაში დატოვებული თანხა მთლიანად ხმარდება ამ წესდებით განსაზღვრული უნივერსიტეტის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 25

საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება

უნივერსიტეტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს კულტურის სამინისტროს.

მუხლი 26

სახელმწიფო კონტროლი

1. უნივერსიტეტის სამეურნეო-საფინანსო და სხვა შესაბამისი საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. უნივერსიტეტმა მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თანხმობით შეიძლება განხორციელოს „საჯარო სამართლის იურდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოქმედება.

3. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო კანონმდებლობით მინიჭებული

კომპეტენციის ფარგლებში არის საქართველოს კულტურის სამინისტრო.

4. უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

თავი XI

დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 28

გარდამავალი დებულება

1. უნივერსიტეტის პრორექტორებს ამ წესდების ძალაში შესვლისთანავე უწყდებათ უფლებამოსილება, მაგრამ აგრძელებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოზე რექტორის მიერ წარდგენილი კანდიდატების არჩევამდე.

2. რექტორი ვალდებულია ამ წესდების ძალაში შესვლისთანავე სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს ასარჩევად წარუდგინოს პრორექტორთა კანდიდატები.

მუხლი 29

უნივერსიტეტის, როგორც საჯარო სამართლის იურდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

უნივერსიტეტი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

მუხლი 30

წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით (27).

2003 წელი

1. შეიქმნა ახალგაზრდა შემოქმედთა ორწლიანი უმაღლესი კურსები.

2. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებმა დაარსეს ჟურნალი „მოდით, ვითამაშოთ!“ რედაქტორი ამავე კურსის სტუდენტი მაია ოდიშარია (28).

2004 წელი

ბრძანება №26/2

§ 1

განათლებისა და კულტურის დარგში საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების მიზნით თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში შეიქმნას პრორექტორის შესაბამისი თანამდებობა.

§ 2

პრორექტორად, არჩევნებამდე, დაინიშნოს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი ლევან ხეთაგური, რომელიც ადრე ასრულებდა აღნიშნული დარგის განყოფილების უფროსის მოვალეობას.

ბრძანება № 59/5

განახლდა სამეცნიერო ნაშრომების კრებული „თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი“ – რედაქტორი ნათელა არველაძე.

ხელშეკრულების საფუძველზე, ჟურნალის ლიტერატურულ მუშაკებად მოწვეულნი არიან:

1. მარიამ იაშვილი
2. თამარ ცაგარელი
3. ნანა ჭრელაშვილი



თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში მოღვაწეობს

1. მეცნიერებათა დოქტორი – 34
2. მეცნიერებათა კანდიდატი – 52
3. მასწავლებელი – 84

2004 – 2005 სასწავლო წელი

სტუდენტთა რაოდენობა:

1. სახელმწიფო სექტორზე – 431
2. ფასიან სექტორზე – 1142 (29).

* * *

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა:

1939 წლის 1 სექტემბრიდან დაარსდა ინსტიტუტის
ბიბლიოთეკა.

ბრძანება №23/1

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა შექმნისთანავე დაევალა
ქალბატონ რუსუდან მიქელაძეს. მან 1939–1978 წლებში
მნიშვნელოვნად შეავსო და გაამდიდრა არსებული ბიბლიოთეკის
წიგნადი ფონდი.

საქმე №168-177

ბრძანება №135

30 სექტემბერი, 1950 წელი

ბიბლიოთეკის გამგე რუსუდან სოლომონის ასული მიქელაძე მივლინებული იქნეს ქალაქ მოსკოვში და ლენინგრადში თეატრალური ლიტერატურის შეძენის მიზნით ამა წლის 3/X-დან 25/X-მდე

საქმე №146-369ა

ბრძანება №183

17 ივნისი, 1974 წელი

ბიბლიოთეკარი ტატიანა გერასიმოვა-ტაგიზაძე მივლინებულ იქნეს ქალაქ მოსკოვში ა. წ. 18 ივნისიდან 25 ივნისამდე წიგნების შესასყიდლად.

1978 წელი

ბრძანება №35/2

ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნოს ელისო წულუკიძე

1983 წელი

ბრძანება №96/1

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა დაევალოს ლამარ მინდიაშვილს

ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის შემდეგ ბიბლიოთეკას ეწოდება სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ხოლო გამგეს – დირექტორი

ბიბლიოთეკის ფონდი:

1. წიგნადი ფონდი მოიცავს 50. 165 რაოდენობის წიგნს.
2. სქელყდიანი ჟურნალები, ნოტები, სამეცნიერო შრომები, დიპლომები, დისერტაციები – 48. 765.



* * *

ჩვენი უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი უკვე მრავალი წელია ინტესიურად მონაწილეობს, როგორც სტუდენტურ, ასევე უმაღლესი კინოსასწავლებლებისა თუ სხვადასხვა საერთაშორისო კინო ფესტივალებზე. მათი არა ერთი საკურსო თუ სადიპლომო ნამუშევრები სხვადასხვა სახისა და კატეგორიის პრიზებით იქნა დაჯილდოვებული. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა სრულყოფილი ჩამონათვალი კინოსარეჟისორო ფაკულტეტის მუშაობისა და მიღწევების თაობაზე. ამდენად, გთავაზობთ მხოლოდ ერთი ფესტივალის პროგრამას:

მიუნხენის უმაღლესი კინო სასწავლებლების საერთაშორისო ფესტივალი

1989 წელი

1. „პატარა მეგობრები“ – რეჟისორი მარინა ჭონელიძე
2. „ერთხელ“ – რეჟისორი დავით კვიციხაია
3. „დაბადების დღე“ – რეჟისორი ბესო გიორგობიანი
4. „ნადირობა“ – რეჟისორი აკაკი შანშიაშვილი
5. „ხაზი“ – რეჟისორი ლევან კიტია

1990 წელი

1. „ზონაში სეირნობა“ დოკუმენტური ფილმი – რეჟისორი არტურ ევლოკიძე

1991 წელი

1. „დღე“ – რეჟისორი ლევან ღლონტი

1992 წელი

1. „იქ, ჩემთან“ – რეჟისორი ზაზა ხალვაში

1993 წელი

1. „ძალიან პატარა ამბავი“ – რეჟისორი გიორგი ოვაშვილი
2. „გასეირნება“ – რეჟისორი ნინო ნავროზაშვილი
3. „კაცუნა“ – რეჟისორი ამირან ჩიხინაშვილი, ფილმა I პრიზი მოიპოვა
4. „ნოქტიურნი“ – რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე
5. „ორშაბათი“ – რეჟისორი ირაკლი ბალათურია
6. „წრე“ – რეჟისორი გიორგი გაჩეჩილაძე
7. „ვისი სული გსურს“ – რეჟისორი ლელა წიფურია

1994 წელი

1. „ამბავი“ – რეჟისორი მაია არჩვაძე
თელავის ფილმების ფესტივალზე ამირან ჩიხინაშვილის ფილმმა „კაცუნამ“ პირველი პრიზი მოიპოვა.

1995 წელი

1. „დამკვირვებელი“ – რეჟისორი ლაშა ოთხმეზური
2. „გილოცავთ“ – რეჟისორი გიორგი გაჩეჩილაძე

მიუნხენის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს საუკეთესო კინო სკოლებმა, მათ შორის

საქართველოს თეატრისა და კინოს ინსტიტუტმა, სცენარისტის პრიზი მოიპოვა გოდერძი ჩოხელმა.

1996 წელი

1. „ბავშობა წავიდა, გაქრა“ – ანიმაციური ფილმი–რეჟისორი დიმიტრი ბუტლიაშვილი
2. „ბუზი“ – რეჟისორი გიორგი ცინცაძე
3. „ერთი მილიმეტრი“ – რეჟისორი გიორგი ხვადაგიანი
4. „დილის რომანსი“ – რეჟისორი ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი
5. „ფიროსმანის საიდუმლო ცხოვრება“ – რეჟისორი პიტერ მესაროხი
(წარმოშობით უნგრელი, რომელმაც კინო–სარეჟისორო განათლება მიიღო საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში)

1997 წელი

1. „გზაზე მიქრის ერთი კაცი“ – რეჟისორი ლევან ლორთქიფანიძე, გიორგი კაკაბაძე
2. „ნეტავ აღარ იწვიმოს“ – რეჟისორი მანია არჩვაძე
3. „სისხლიანი სცენარი“ რეჟისორი ბესო სოლომონაშვილი
4. „უნამუსო“ – რეჟისორი გიორგი ხარება
5. „ვერნისაჟი“ – რეჟისორი ბესო სოლომონაშვილი

1998 წელი

1. „დედა“ – რეჟისორი გიორგი ხვადაგიანი
2. „მხოლოდ ერთი წუთი“ – რეჟისორი ზათუნა გიორგობიანი
3. „მკვლევები“ – რეჟისორი დავით ხუხიაშვილი, კონსტანტინე ესაძე

კიევის სტუდენტური ფილმების ფესტივალზე საუკეთესო



ფილმისათვის მთავარი პრიზი მიენიჭა რეჟისორ გიორგი
ხარებავას ფილმისათვის „უნამუსო“

1999 წელი

1. „მირაჟი“ – რეჟისორი გიორგი მიქაძე
2. „ბრაზილიელი“ – რეჟისორი გიგა ჩხეიძე

2000 წელი

1. „ახალბეგა W 21“ – რეჟისორი ბიძინა ყანჩაველი
2. „ლიმონის მარმელადი“ – რეჟისორი ჯულიეტა გოგისვანიძე
3. „კიდევ ერთი“ – რეჟისორი რუსუდან პირველი
კიევის სტუდენტური ფილმების ფესტივალზე საუკეთესო
დოკუმენტური ფილმისათვის დაჯილდოვდა რეჟისორი მიხეილ
კეკელიძე ფილმისათვის „ელდარ მამედ ზადე“

2001 წელი

1. „ბალადა ჩვეულებრივ ადამიანზე“ – რეჟისორი ვაწ
თვაური
2. „ვალს-ფანტაზია“ – რეჟისორი ქეთი მიქიაშვილი
3. „ელდარ მამედ ზადე“ – დოკუმენტური ფილმი
რეჟისორი მიხეილ კეკელიძე
4. „თითები“ – დოკუმენტური ფილმი – რეჟისორი ნათია
მეფარიშვილი

2002 წელი

1. „დიდი მადლობა – რეჟისორი ქეთი ნოზაძე
2. „კანს მიღმა“ – რეჟისორი ჯაბა რუაძე
3. „1“ – რეჟისორი ლევან გაფრინდაშვილი
4. „სიჩუმის ზღვარზე“ – დოკუმენტური ფილმი –
რეჟისორი კონსტანტინე ესაძე

- 5. „წყურვილი“ – დოკუმენტური ფილმი – რეჟისორი
ლევან ლალიძე
- 6. „წვეთი“ – დოკუმენტური ფილმი – რეჟისორი ნინო
ჯაფიაშვილი (31).

* * *

2005 წელი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №67

რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად
დაინიშნოს პროფესორი გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
საპასპორტო მონაცემები

- 1. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 2. ქალაქ თბილისი. რუსთაველის გამზირი №19.
ტელ: 99-94-11. ფაქსი: 98-30-79
- 3. 1923 წელი. 10 ოქტომბერი
- 4. გიორგი მარგველაშვილი
- 5. დასწრებული და დაუსწრებელი
- 6. ორი კორპუსი, სასწავლო თეატრი /ორი სცენა/
 - ა) შენობა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის
ბალანსზეა
 - ბ) საერთო ფართი 7090 კვ. მეტრი
 - გ) ოთახების რაოდენობა /სამეცადინო,
ადმინისტრაციული, დამხმარე და ა. შ. / – 75
 - დ) პიანინო – 12, როიალი – 5, სადურგლო
დაზგა – 9,

მუსიკალური ცენტრი – 1 კომპიუტერი პრინტერით – 8,
ვიდეო კამერა – 5, კოსტიუმი – 71

7. უმაღლესი სასწავლებლის სტრუქტურა:

ა) ადმინისტრაცია, რექტორი, პრორექტორები,
დეკანატები, სასწავლო-მეთოდური სამართველო,
ბუღალტერია, კადრები, სასწავლო თეატრის დირექცია.

ბ) განყოფილებები: ფასიანი სწავლების სექტორის
განყოფილება – 2 სამეცნიერო-კვლევითი სექტორის
– 2, უმაღლესი კურსების – 1

გ) სპეციალობები, სასწავლო გეგმა

დ) თეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 15 კათედრა:

1. მსახიობის ოსტატობის კათედრა
2. დრამის რეჟისურის კათედრა
3. სასცენო მეტყველების კათედრა
4. მხატვრული კითხვის ოსტატობის კათედრა
5. საავტორო ტელევიზიის კათედრა
6. სასცენო მოძრაობის კათედრა
7. მუსიკალური დისციპლინების კათედრა
8. თეატრის ისტორიისა და თეორიის კათედრა
9. სცენის ტექნოლოგიისა და თეატრის მართვის
კათედრა
10. სახვითი ხელოვნების კათედრა
11. კინოხელოვნების კათედრა
12. კინოს ისტორიისა და თეორიის კათედრა
13. ტელეხელოვნების კათედრა
14. ფილოლოგიის კათედრა
15. ფილოსოფიის კათედრა

8. უნივერსიტეტში საბიუჯეტო სექტორზე სწავლობს
438 სტუდენტი, ფასიან სექტორზე /დასწრებულზე/ –



735, /დაუსწრებელზე/ – 173, უცხო ქვეყნის /თურქეთის/ მოქალაქეა ორი სტუდენტი /დოკუმენტური კინოს რეჟისურაზე – V კურსზე, რეჟისორ-მემონტაჟე – IV კურსზე/

9. პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობაა სულ – 190, შემთავსებელი – 34, სამეცნიერო ხარისხის პროფესორი – 35, დოცენტი – 40.

10. 2004-2005 წლის მიღებული კონტინგენტის საერთო რაოდენობაა: საბიუჯეტო სექტორზე – 118, ფასიანზე – 225.

სპეციალობები საბიუჯეტო სექტორზე:

1. დრამის და კინოს მსახიობები – 29
2. მუსიკალური თეატრის მსახიობები – 11
3. კინო-ტელე ჟურნალისტიკა – 8
4. შოუ ბიზნესის მენეჯერი – 8
5. ტელე-რეჟისორი – 3
6. კლიპებისა და რეკლამის რეჟისურა – 7
7. კინო-ტელე-ოპერატორი – 6
8. კინომცოდნე – 7
9. ხელოვნებათმცოდნე – 6
10. ტელერადიოგადაცემის წამყვანი – 6
11. თეატრმცოდნე – 2
12. ტურიზმისა და კულტმომსახურების მენეჯერი – 11
13. სათეატრო კრიტიკა და ჟურნალისტიკა – 10

საქართველოში დაიწყო უმაღლესი სკოლების განათლების რეფორმა. ოთხმოცდაორი წლის ჩვენი უნივერსიტეტიც ამ ახალი ეტაპის კარიბჭესთან იმყოფება. (32)



In 1923 year the public figure Akaki Pagava founded his theatrical studio. Later the studio was transformed into the Institute of Theatre.

According to the resolution adopted by the Peoples Commisariat of the Socialistic Republic of Georgia (1923 year). The following departaments have been founded in the institute: 1. Dramatic Studio. 2. Opera Studio. 3. Dramatic School. 4. The Class of Opera Chorus. 5. The Class of Plastics and Rhythmical Gymnastics. The youngsters from Akaki Paghava studio became The students of The institute.

After 1926 year Georgian institute of theatre fell to several independet studical units. A studio was founded next to the Rustaveli Theatre in 1927 year. In 1927-35 The studio was headed by Akaki Vasadze and in 1935-1939 it was by Akaki Khorava.

During The period of 1927-30, up to 160 actors have been prepared. In 1931-35 years the Marjanishvili Theatre studio was headed by Ushangi Chkheidze, in 1935-37 years by Dimitri Janelidze and in 1937-39 years by Pier Kobakhidze. In 1939 year Akaki Pagava established "The High Courses of Stage Art".

In 1939 on the basis of Georgian studios the institute of theatre was re-established.

It was my second born. My father was Akaki Paghava, The Rector of The Institute was appointed Akaki Khorava.

The Studios that had been in 1927-1939 years with their teaching plans and the quality of prepared specialists equalled to the high school and satisfied the highest criteria.

In 1940 year was the first graduation of actors' department.

The specialistists, who had been prepared in 50-60



years took a big part in Georgian theatre education.

Second part of 70' s was the beginning of a new stage of the institute.

There were founded new departments, new staff, faculties, science centre, laboratories, students' theatre and film studio.

On the base of the institute has been founded the following departments: drama and film actors, musical and puppet theatre, marionette theatre, pantonime actors, drama and film directors, cameramen, theatre and film critics, etc.

From 1992 year the Institute was called The State Institute of Theatre and Film.

In Georgian Institute of Theatre and Film are functioning 15 departaments, 4 deans' offices, are 21 specialities, is science –creatire center – that was founded by Dimitri Janelidze.

Today The Georgian State University of Theatre and Film is 82 years old.

საქართველოს შოთა რუსთაველის
სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის სასწავლო

რ ე პ ე რ ტ უ ა რ ი

(1939 – 2005)

№	საასწავლო წელი	სპექტაკლის დასახელება	ავტორი	დადგმული	მხატვარი	კომპოზიტორი
1	2	3	4	5	6	7
1	1939/40	პულე გრეკოვი	დ. ვოიტეხოვი და ე. ლენჩი	ა. ვასაძე	დ. თავაძე	რ. გაბიჩვაძე
2	„—“	რაც გინახავს, ვეღარ ნახავ	ა. ცაგარელი	კ. პატარიძე	ი. გამრკელი	
3	1940/41	მაჭანკალი	ი. ჭავჭავაძე	ა. ვასაძე	ა. თევზაძე	
4	„—“	ნიჭიურნი და თაყვანისმცემელნი	ა. ოსტროვსკი	დ. ალექსიძე	ა. თევზაძე	
5	„—“	ტუნწი	გ. ერისთავი	კ. პატარიძე	ა. თევზაძე	
6	„—“	ადვოკატთან	ვ. გუნია	კ. პატარიძე	ა. თევზაძე	
7	1941/42	პატარა კახი	ა. წერეთელი	კ. პატარიძე	ა. თევზაძე	
8	„—“	დავა	გ. ერისთავი	ა. ვასაძე	ა. თევზაძე	
9	„—“	აურზაური არაფრისათვის	უ. შექსპირი	გ. ტოსტონოგოვი	ბ. ლოქტინი	ბეიერი
10	1942/43	რღვევა	ბ. ლავრენევი	ა. ვასაძე		
11	„—“	ცისფერი და ვარდისფერი	ბრუნშტეინი	გ. ტოვსტონოგოვი	ბ. ლოქტინი	ბეიერი
12	„—“	ჭორიკანა ქალები	კ. გოლდონი	გ. ტოვსტონოგოვი	ბ. ლოქტინი	ბეიერი
13	„—“	დღენი ჩვენი ცხოვრებისა	ლ. ანდრეევი	ვ. ტაბლიაშვილი	ლ. ჭუბაბრია	ა. კერესელიძე
14	1943/44	საპატარძლო აფიშით	კ. გოლდონი	დ. ალექსიძე	დ. მელევი	
